ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 12 ივლისი 2002 №128 (1650) | ფასი 50 თეთრი




თურქეთმა, ბუცები რომ გუშინ ჩაიცვა, მსოფლიო გაოცა, ქართველებს კი ლამისაა, ოხრად დაგვრჩეს

# ფეხბურთი ტყემლით

## გურჯებმა თურქებთან საყარდაშო ფირმანი აფრინეს

აბა, გავიხაროთ: იშვა აზრი აგვისტოში საქართველოსა და თურქეთის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩის გამართვის შესახებ. მესხისა და მეტრეველის დროინდელ ქართულ ფეხბურთში კი არა, აგერ, ჩივაძე-ყიფიანისას ამგვარი იდეა მთქნარებას და მოწყენილ კომენტარებს გამოიწვევდა საფეხბურთო საქმეებში ოსმალოთა ტყემალზე ჯდომის შესახებ, მაგრამ ბოლო წლებია, ჩვენი ოქროც აღარსად არის და მეზობლები კი ბამბასაც ისე სანაქებოდ აჩხრიალებენ, თქვენი მოწონებული!.. ამიტომ ახლა თურქები ამთქნარებენ და რა გასაკვირი, გურჯებთან ბურთის გორება ითაკილონ, მით უფრო, კორეის და იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდსახელიანი თურქობის შემდეგ. შენოლ გიუნეშს დღეს ვინმემ რომ უთხრას, ლაშქარი უცებ გაამზადეო, ვინძლო მთქმელს იატაგანი გაუქროს: დიდ ვნება-განცდათა გადატანით დაქანცული ლაზი, ჩვენი ცნობით, ანთალიის პლაჟებზე დუნდება და ფეხბურთელებიც დაქანცულობას ინელებენ.

მაგრამ აზრი არსებობს, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ იგი გუშინ დაგვიდასტურა, აგერ, თქვენების ფაქსი წინ გვიდევსო და ამ კვირაშივე ოფიციალურ ჰოს ან არას დაგვპირდა. თურქებთან თამაშზე მეტი პატივი რაღა იქნება და ისე: 21 აგვისტოს საქართველოს და ესტონეთის ნაკრებთა ამხანაგური ქიშპიც გახლავთ დანიშნული.



# იცოდეს ევროპამ: ქართველობა ძნელია

## გუშინწინ იქეიფა, გუშინ იქეიფა, დღეს ჯიბეცარიელია

ერთი კვირის წინ „რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ „ჩელსიში" ჯერემი ნჯიტაპის ჩაშლილი ტრანსფერის თაობაზე ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ კარგად თუ დავუკვირდებით, ეპოქალური კომენტარი გააკეთა: „სატრანსფერო ბაზარი გაყინულია, არც ერთი კლუბი არ ინძრევა. ფინანსურმა პრობლემებმა კლუბები ისე მოდრიკა, ძვირი ფეხბურთელების ყიდვა არავის სურს".

და ვინ არის ძვირი ფეხბურთელი — ჯერემი?

გავიხსენოთ, რაც ხდებოდა შარშანწინ და შარშან და ჯერემის სიძვირე სასაცილოდ გამოჩნდება.

ზუსტად ორი წლის წინ, 12 ივლისს ვწერდით: „მსოფლიო ფეხბურთში ახალი სატრანსფერო რეკორდი დამყარდა, არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო „პარმიდან" „ლაციოში" 54 მილიონ დოლარად გადავიდა".

მაშინ ეს სენსაცია იყო, მაგრამ კრესპოს ფასი თურმე მხოლოდ სატრანსფერო სიგიჟის დაწყების ნიშანი ყოფილა:

2000 წლის ივლისში იმავ „ლაციომ" ახალი ფეხბურთელების შესაძენად 153 მილიონი დოლარი დახარჯა;

14 ივლისს „რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი 75 ათას მადრიდელს დაჰპირდა, რომ „ბარსელონიდან" ფიგუს გადაიყვანდა;

15 ივლისს „მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ „მანჩესტერ იუნაიტედს" ბეკჰემში 64 მილიონი შესთავაზა;

21 ივლისს ფიგუ 56 მილიონად რეალელი გახდა;

29 ივლისს „მილანმა" სახელფასო რეკორდი დაამყარა — ფერნანდო რედონდოს წელიწადში 5 მილიონი დაუნიშნა.

და ეს არ იყო სატრანსფერო სიგიჟის დასასრული. შარშანდელმა ივლისმა შარშანწინდელი დაჯაბნა:

4 ივლისს „მილანმა" „ფიორენტინას" რუი კოშტაში 42,5 მილიონი გადაუხადა;

10 ივლისს „რეალმა" მსოფლიოს ნაკრების შექმნა დაასრულა — ზინედინ ზიდანში 64 მილიონი დოლარი გადაიხადა;

13 ივლისს „მანჩესტერმა" ვერონის სანაცვლოდ „ლაციოს" 40 მილიონი ჩაუთვალა;

20 ივლისს „ლაციომ" ვერონში აღებულ ფულს ერთი მილიონიც დაამატა და მენდიეტა იყიდა.

ახლა ივლისია, ერთი თვეც და ევროპაში ახალი სეზონი დაიწყება, მაგრამ რა? უძვირესი იტალიური ტრანსფერის ღირებულება ჯერჯერობით 9 მილიონს არ აცილებია, „რეალი" წუწუნებს, „ბარსელონამ" კი რიკელმე კაპიკებად ჩაიგდო ხელში. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატი ახალი დასრულებულია, მუნდიალის დამთავრებას კი, წესით, ფეხბურთელების გაძვირება უნდა მოჰყოლოდა...

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ტოტალური უფულობა ფულის დევნამ გამოიწვია. საარაკო ფასად ნაყიდმა ფეხბურთელებმა სეზონში 80-90 მატჩს ვერ გაუძლეს და როგორც მსოფლიოს ჩემპიონატმაც აჩვენა, გადაიწვნენ. ფეხბურთში დიდი ფულის შემტანი ტელეკომპანიები დაფრთხნენ, ხოლო ორი გიგანტის, კირხის ჯგუფისა და TV დიჯიტალის გაკოტრებამ ბევრი კლუბიც გაკოტრების პირას მიიყვანა. ყოველგვარ გონივრულ ზღვარს გადაცილებული ხელფასები უმდიდრესი კლუბების უმთავრეს თავსატეხად იქცა. ზოგი კლუბი მხოლოდ იმიტომ მუშაობს, ხელფასები რომ გაისტუმროს და ხშირად ამასაც ვერ ახერხებს.

ათობით მილიონიანი ტრანსფერები? წლევანდელი ივლისი, ალბათ, ბოლო წლების ყველაზე უფულო ტრანსფერების თვე იქნება.



# 2000

# ფიგუ

# 56 000 000 $



# 2001

# ზიდანი

# 64 000 000 $

# ?

# 2002

# ჩემპიონი სალიგოდ დაინომრა

## დიდავა არის და არც არის



გივი დიდავა

**ციოტაც** და ქუთაისის „ტორპედო" მესამედ ჩაებმება ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ საკლუბო ტურნირში. მომავალ ოთხშაბათს ტორპედოელები ქუთაისში ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გამართავენ ფარერის კუნძულების „B36 ტორსჰავენთან".

არშემდგარი თურქული შეკრების შემდეგ ქუთაისელები საკუთარ ბაზაზე აგრძელებენ წვრთნას. გუნდის თავკაცი ალექსანდრ შტელინი ჩვეულად დიდი მონდომებით ავარჯიშებს შეგირდებს. გუშინ, საღამოს, უკრაინელმა სპეციალისტმა „ტორპედო" სალორიას ბაზაზე პირველ ლიგაში ჩაქვეითებულ წყალტუბოს „სამგურალს" გააჯიბრა ამხანაგურად. პირველ ტაიმში შტელინმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: ტოგონიძე, აკოფიანი, გამეზარდაშვილი, ხვადაგიანი, თოდუა, შ. ბაბუნაშვილი, სულაბერიძე, იონანიძე, გ. ჩხეტიანი, ზვ. ქუთათელაძე, გვირჯიშვილი. ტაიმიც უგოლოდ მორჩა. შესვენების შემდეგ მწვრთნელმა, ფაქტობრივად, მთლიანად გადაახალისა შემადგენლობა: ტოგონიძე, ახალკაცი, ლ. ჭელიძე, მახვილაძე, დიდავა, ქემოკლიძე, გუჩუა, კ. კვეტენაძე, მ. ასათიანი, ახალკაცი, პოროშინი, დ. ჯანაშია. ქუთაისელთა უპირატესობაც უმალ გამოიკვეთა და „სამგურალის" კარი ოთხჯერ დაილაშქრა. ანგარიში დავით ჯანაშიამ გახსნა. ამას მალხაზ ასათიანის ორი გოლი მოჰყვა, თამაშის მიწურულს კი 11-მეტრიანიდან პოროშინმა გაიტანა.

კუნძულელებთან დაპირისპირებამდე ტორპედოელები ერთ საკონტროლო შეხვედრასაც გამართავენ, 13 ივლისს „ვიტ ჯორჯიას" ესტუმრებიან.

გუშინვე დადგინდა და უეფას გაეგზავნა „ტორპედოს" სალიგო განაცხადი, რომელშიც 24 ფეხბურთელი საკუთარი ნომრებითაა შეყვანილი. აი, ისინიც:

*მეკარეები: ნიკოლოზ ტოგონიძე (1), ზვიად სტურუა (12), ირაკლი თოთლაძე (27), გრიგოლ ჭანტურია (30)*

*მცველები: მიხეილ მახვილაძე (3), გივი დიდავა (4), სევასტი თოდუა (5), რევაზ ქემოკლიძე (6), ლაშა ჭელიძე (17), ვახტანგ აკოფიანი (21), ვახტანგ ხვადაგიანი (24), დავით გამეზარდაშვილი (25)*

*ნახევარმცველები: ზურაბ იონანიძე (2), კახა კვეტენაძე (7), შოთა ბაბუნაშვილი (8), რომან ახალკაცი (14), ანდრი პოროშინი (15), ვალტერ გუჩუა (13), მალხაზ ასათიანი (20), გიორგი სულაბერიძე (22).*

*თავდამსხმელები: დავით ჯანაშია (9), ზვიად ქუთათელაძე (10), პაატა გვირჯიშვილი (11), გაგა ჩხეტიანი (16)*

აქვე ვიტყვით, რომ გივი დიდავა განაცხადში პირობითაა შეყვანილი. საქმე ის გახლავთ, რომ დიდავა ჯერაც თელ ავივის „მაკაბის" ეკუთვნის, „ტორპედოში" მის იჯარას კი 31 მაისს გაუვიდა ვადა. ებრაული კლუბიდან მისი გამოსყიდვის ან თუნდაც სალიგოდ „ტორპედოში" დატოვების თაობაზე შეთანხმება ჯერაც არაა მიღწეული, თუმც არ არის გამორიცხული, ორმა კლუბმა საერთო ენა გამონახოს და დიდავა „ტორპედოს" დაეხმაროს.

განაცხადში ვერ მოხვდა იოსებ დევიძე. „მერანის" კაპიტანმა სამი კვირა ივარჯიშა „ტორპედოსთან" ერთად, ოღონდ საქმე ტრანსფერზე რომ მიდგა, ქუთაისურმა კლუბმა იგი იძვირა.

**იუზა ძაძიტაძე** *ქუთაისიდან*

# დინამოს უჩა შემორჩა

## შუშაკს ღონიერი და აგრესიული გერმანელები მოეწონა



ბრაზილიელ კარლოსს არც „შტუტგარტ კიკერსთან" შეურცხვენია თავი არ

გერმანიის დაბა რუიტში დაბანაკებულმა თბილისის „დინამომ" მეორე საკონტროლო მატჩი ითამაშა. მისი მეტოქე რეგიონალლიგის „შტუტგარტ კიკერსი" იყო და დინამოელებმაც 1:0 სძლიეს გერმანელებს. გოლი 82-ე წუთზე ლადო ბურდულმა შეაგდო.

ივო შუშაკის საწყისმა პირველი ტაიმი ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩაატარა და შესვენებამდე გუნდები ტოლსწორად ბურთაობდნენ. შესვენების შემდეგ კი ხორვატმა დამრიგებელმა ოპტიმალურ თერთმეტეულს მოუყარა თავი და „დინამოც" უკეთ ათამაშდა. ქართველებს 4-5 კარგი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მათგან საუკეთესო კი ალეკო გოგობერიშვილს, ხოლო მეტოქეს ერთადერთხელ შეექმნა გოლის გატანის რეალური შანსი, მაგრამ კარლოსმა კარს ხაზიდან „გამოაძრო" ბურთი.

პირველ ტაიმში „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გვარამაძე — შაშიაშვილი, შავგულიძე, კანდელაკი — ახალაია, ვალტერი, სამხარაძე, კვირკველია — რეინალდო, უჩა — ბობოხიძე.*

მეორე ტაიმის თერთმეტეული: *ზოიძე — შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ვაშაკიძე — გოგობერიშვილი, კარლოსი, სახვაძე, ბურდული, აშჩაბაძე — დარასელია, მიქაძე.*

სიახლე კიდევ ისაა, რომ შუშაკმა ამ მატჩის შემდეგ „დინამოსთვის" ორივე ბრაზილიელი ლეგიონერი ჩამოწერა — რეინალდო და მურილიო. რეინალდოს სისწრაფე აკლდა, ხოლო მურილიო მოუმზადებელი იყო, გვითხრა „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძემ.

„დინამოს" შემადგენლობაში კიდევ ორ უცხოელს შენიშნავდით — ვალტერი და უჩა. ვალტერი პერუელი მარცხენა ნახევარმცველი გახლავთ, რომელიც შუშაკმა რეინალდო-მურილიოს გზას გაუყენა, ხოლო ნიგერიელი შემტევი უჩა კიდევ გამოიცდება „დინამოში". წინა სეზონში უჩა ბუნდესლიგის „ვოლფსბურგში" ირიცხებოდა, მაგრამ საქმე ისე წაუვიდა, რომ „დინამოში" მოსვლამდე მეორე ბუნდესლიგის „ობერჰაუზენში" იყო გასინჯვაზე.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრა „დინამოს" 14 ივლისს ელის პოლონურ „გროცლინთან". ივო შუშაკი კი „შტუტგარტ კიკერსთან" ბურთაობით ერთობ ნასიამოვნები გახლავთ: „დატვირთვების ფონზე ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ. ისიც კარგია, რომ ძალისმიერ, აგრესიულ და ხისტ გუნდთან მოგვიწია თამაშმა — ასეთი გუნდები ხომ საქართველოს ჩემპიონატში არ გვხდებიან. მეორე ტაიმში უკეთ იმიტომ ვითამაშეთ, რომ მოედანზე ერთმანეთში შეთამაშებული ფეხბურთელები გავიდნენ. მოხარული ვარ, რომ მოვიგეთ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბიჭებმა იმუშავეს და გამძლეობა აჩვენეს".

**დავით თავართქილაძე**

# დილას საბანი მოკლდა

## ზურაბმა, სიზერე რას მიქვიაო



ვლადიმერ ხაჩიძე

ერთი კვირაა, რაც უმაღლეს ლიგაში ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებული გორის „დილა" საწვრთნელ შეკრებაზეა. გორელები იქვე, სასტუმრო „ვიქტორიაში" არიან დაბინავებულნი და საახალსეზონოდ ემზადებიან. გუნდიდან წამსვლელ-დამრჩენთა სია ჯერაც უცვლელია. თბილისის „ლოკომოტივში" გადაბარგებული ბურნაძე-გოგინაშვილის გარდა „დილა" არავის დაუტოვებია, ახალწვეულებზე კი ადრეც მოგახსენეთ — ეჯოშვილი, თოდუა და ბაკარანძე დღესდღეობით კვლავაც ვლადიმერ ხაჩიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ.

ვარჯიშის გარდა „დილა" შეძლებისდაგვარად ამხანაგურ მატჩებსაც ატარებს. პირველად გორელები „ლოკომოტივს" თბილისში ესტუმრნენ და 1:1 დაუზავდნენ. გუშინ კი პირველლიგელ „ცხინვალს" „შეუამხანაგდნენ" და 2:1 დაამარცხეს. გოლები ამირან ხმალაძემ და ვეტერანმა ზურაბ ხორგუაშვილმა გაიტანეს.

„დილა" საწვრთნელ შეკრებას შაბათს, 13 ივლისს დაასრულებს და ვლადიმერ ხაჩიძეც ბიჭებს ორიოდ დღით დაასვენებს, მერე კი გუნდს კვლავ შეკრებს. თუმც სავარჯიშოდ ქალაქგარეთ გასვლა გორელებისთვის ოცნებადაა ქცეული. ამაზე „დილას" „საბანი არ სწვდება".

**კახა ზალამბერიძე**

# ქართველი მალტელს შკრაინაში განსჯის



მერაბ მალაღურაძეს (შუაში) საუეფოდ თანამსაჯების შერჩევა მაუწევს

**შარშან ზაფხულს** იყო, უეფას თასზე ჩვენებურ „ლოკომოტივს" მეტოქედ მალტური „ბირკირკარა" რომ ერგო და ორი მატჩის ჯამში ძალიანაც დაამწუხრა რკინიგზელები.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჩვენებური „ლოკომოტივი" კი ისევ ვიცეჩემპიონია და უეფას თასზე ითამაშებს. თითქმის იგივე გზა გაიარა „ბირკირკარამაც", მაგრამ ამჯერად უეფას თასის წილისყრამ რკინიგზელები ძველ ნაცნობებს აარიდა.

თუმც მალტური გუნდისა და ქართველის გზები წლეულს მაინც გადაიკვეთა. 15 აგვისტოს უეფას თასის მატჩში ზაპოროჟიეს „მეტალურგი" სწორედ „ბირკირკარას" მასპინძლობს. თამაშის განსჯა კი უეფამ თბილისელ მერაბ მალაღურაძეს ანდო.

ქართველები იქნებიან თანამსაჯებიც, რომელთაც მალაღურაძე თავად აირჩევს. ყოველივეს უეფას ხამსაჯო კომიტეტი დაჰკრავს ბეჭედს და სავარაუდოდ, 13 აგვისტოს, ქართველი მსაჯები უკრაინის გზას გაუყვება.

**გამუძა ძვანტალიანი**

# ზესტაფონს ქვიშა და შმაღლესი ლიგა

**გუშინ** ურეკში გაემგზავრა ზესტაფონის „მეტალურგი". ზღვისპირეთში იმერლები ორ კვირას დარჩებიან, ბურთს გაუშინაურდებიან და საკონტროლო მატჩებსაც გამართავენ.

„მეტალურგი" პირველ ივლისს შეიკრიბა საახალსეზონოდ მოსამზადებლად. მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატს ზესტაფონური გუნდი სახეშეცვლილი შეხვდება, „მეტალურგი" ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა — დავით ბაქრაძემ, ზვიად კრავეიშვილმა და გენადი კაციაშვილმა ბოლნისს მიაშურეს, ლევან მერებაშვილმა კი თავისი ახალი გუნდის, „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში ინტერტოტოს თასზეც ითამაშა.

„მეტალურგის" პრეზიდენტ ნუგზარ მღივანის თქმით, გუნდმა 5 ფეხბურთელი დაიმატა სარეზერვო გუნდიდან, სხვებთან ერთად ურეკში რამდენიმე სხვა ახალწვეულიც გაემგზავრა, მათი „მეტალურგში" დარჩენა-არდარჩენის საკითხს ურეკიდან დაბრუნების შემდეგ გადავწყვეტთო, გვითხრა მღივანმა, რომელმაც კლუბის ფინანსურ მხარეზეც ისაუბრა — „დალხინებულნი არ ვართ, მაგრამ საიმისო საშუალება ნამდვილად გვაქვს, რომ ფეხბურთელებს წვრთნისთვის ელემენტალური პირობები შევუქმნათ და ხელფას-პრემიები არ დავუგვიანოთ. მალე ახალ გამგებელს ველით, რომელიც ფეხბურთის ქომაგია, დახმარებას დაგვპირდა და მისი შეწევნა ერთიორად გაგვმართავს წელში. შარშან ვთქვი, რომ „მეტალურგი" არ გავარდებოდა უმაღლესი ლიგიდან და ჩემი სიტყვა შევასრულე, იგივეს ვამბობ ახლაც — ზესტაფონს არ ჰყავს პირველ ლიგაში ჩასაქვეითებელი გუნდი".

ნუგზარ მღივანს ფედერაციის მიერ დაწესებულ ათიათას ლარიან ჯარიმაზეც დავეკითხეთ. არავითარი კომენტარი, ვერაფერს გეტყვით, არ მსურს პოლემიკაში ჩაბმაო, სხაპასხუპით გვითხრა სფფ-ისგან შერისხული კლუბის პრეზიდენტმა და ამ სიტყვებში ბედს შეგუებული კაცის პოზიციაც გამოჩნდა. „მეტალურგი" რომ ფულის გადამხდელია, ცხადზე ცხადია, წინააღმდეგ შემთხვევაში ურეკულ ხარჯებს ნაღდად არ გაწევდნენ კლუბის მესვეურები.

**ბაატა ძვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონის ქუთაისის „ტორპედოს“ გენერალურმა მენეჯერმა ვლადიმერ გუცაევმა გუშინწინ თანამდებობა დატოვა და სამწვრთნელო საქმის გასაგრძელებლად რუსეთს მიემგზავრება.

ვლადიმერ გუცაევი, რომელიც თავის დროზე კვიპროსულ „ანართოსის“, საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებს, ვლადიკავკაზის „ალანიას“ წვრთნიდა, მოსკოვიდან ორიოდ დღის წინ დაბრუნდა, სადაც „ტორპედოს“ პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძეს თავის გადაწყვეტილების თაობაზე ამცნო. ახლა გუცაევი „ტორპედოდან“ თავისუფალია და როგორც მისგან შევიტყვეთ, უახლოეს მომავალში რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ გუნდს ჩაიბარებს. ისიც ითქვა, თითქოს რუსეთის ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელი ვალერი გაზაევი გუცაევს თანაშემწეობას სთავაზობსო, თუმც თავად ვლადიმერ გუცაევმა ეს ცნობა ჩვენთან საუბარში უარყო

# გმადლობთ, ნახვამდის!

## გუცაევს ტორპედოში მენეჯერობას რუსეთში მწვრთნელობა ურჩევნია



— გაზაევს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ არც დავკავშირებივარ, მილოცვა კი მსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

**— „ტორპედოდან“ რატომ წახვედით?**

— „ტორპედოს“ ხელმძღვანელობისა და ქუთაისელი ქომაგების მადლობელი ვარ. ამ კლუბში ორი წელიწადი ვიმუშავე და ორჯერვე ჩემპიონები გავხდით. ვფიქრობ, რომ ჩემი საქმე კარგად გავაკეთე. გამართული გუნდი ჩამოვაყალიბეთ, ბევრ პერსპექტიულ ფეხბურთელს მივეცით „ტორპედოში“ თავის გამოჩენის საშუალება, ცხადია, არც მწვრთნელებს, რევაზ ძოძუაშვილსა და ცხონებულ დავით ყიფიანს დაუკლიათ ცდა. და მიუხედავად ამისა, დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, სამწვრთნელო საქმეს დავბრუნებოდი. მით უმეტეს, რომ ბევრი გუნდი მეპატიჟება. ორივე საქმის საკეთებლად კი დრო და საშუალება არ მექნება და ამიტომაც გადავწყვიტე „ტორპედოს“ დავშორდე.

**— ძოძუაშვილის ქუთაისიდან წამოსვლამ ხომ არ დააჩქარა თქვენი ასეთი ნაბიჯი?**

— არა, ძოძუაშვილის წამოსვლა რა შუაშია, მას თავის გზა აქვს, მე — ჩემი.

**— რუსეთიდან რომელი გუნდები გეპატიჟებიან?**

— არის ორი-სამი ვარიანტი. უახლოეს დღეებში მოსკოვში მივემგზავრები და ამ გუნდების წარმომადგენლებს შევხვდები.

**— ეგ ვარიანტები რომ ჩაიშალოს?**

— გამორიცხულია. ერთი მოსკოვური კლუბი მიწვევს, დანარჩენები სხვა ქალაქებისაა, თუმც ყველა რუსული პრემიერლიგის გუნდია.

**— „ტორპედოსთან“ საერთოდ გაწყვიტეთ ურთიერთობა?**

— აქ ოფიციალურ ურთიერთობაზეა ლაპარაკი, თორემ სხვა მხრივ პრობლემა არ იქნება. თუ ქუთაისელებს რაიმე საქმეში დავჭირდები, დიდი სიამოვნებით დავეხმარები. „ტორპედოს“ პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძესთან ისევ ვიმეგობრებ. მას მოსკოვში ყოფნისას ვესაუბრე და ჩემი გეგმების შესახებ კარგად იცის.

**— ერთი თვის წინ „ტორპედოს“ მწვრთნელად ალექსანდრ შტელინი, როგორც ვიცით, თქვენი რეკომენდაციით დაინიშნა. ახლა კი თავად წახვედით გუნდიდან. შტელინმა იცის ამის თაობაზე?**

— ალბათ, პრეზიდენტისგან ანაც თქვენი გაზეთის საშუალებით შეიტყობს. ისე, რომ იცოდეთ, შტელინი ჩემი რეკომენდაციით „ტორპედოში“ ორი წლის წინ მოვიწვიეთ. მის მწვრთნელად დანიშვნაში კი ჩემი ხელი არ ურევია, გადაწყვეტილება პირადად ზურაბ ხინიკაძემ მიიღო.

**— სამწვრთნელო საქმიანობას, ფაქტობრივად, ორი წელი მოწყვეტილი იყავით. არ გაგიჭირდებათ?**

— არა მგონია. ორი წელი მწვრთნელი არ ვყოფილვარ, თორემ ფეხბურთში ვტრიალებდი და სამწვრთნელო პროცესშიც ხშირად ვმონაწილეობდი.

**— ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა?**

— ვფიქრობ მნიშვნელოვანი არაფერია. ტაქტიკური მონახაზი თითქმის იგივე დარჩა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ძველებურად ითამაშა გერმანიამ, ინგლისმა, იტალიამ, ერთი ბრაზილია იყო, რომლის მწვრთნელმაც ორიდან ერთი თავდამსხმელი მოხსნა და ამის ხარჯზე გამთამაშებელი გაართა. უმთავრესი, როგორც ორ-სამი წლის წინ, ახლაც ფიზიკური მომზადებაა. უამისოდ არაფერი გამოვა. და კიდევ იმარჯვებს ის გუნდი, ვისაც მოედანზე მეტი შემსრულებელი ჰყავს. მაგალითად იგივე ბრაზილია გამოდგება.

**— მოდით, საქართველოს დავუბრუნდეთ. ქართულ ფეხბურთს როდის ეშველება?**

— მაშინ, როცა ქვეყნის ეკონომიკა დალაგდება და ცხოვრების ელემენტარული პირობები შეიქმნება. იქამდე კი არც საკლუბო ფეხბურთში, არც სანაკრებო დონეზე სერიოზული წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს. იქნებ შემეკამათოთ, არც ხორვატია, ბულგარეთი და სხვა ქვეყნები არიან წელგამართულნიო, მაგრამ გიპასუხებთ, რომ ამ ქვეყანათა წარმატებები ეპიზოდურია. მოვიდა თაობა? ითამაშებს ორ-სამ სეზონს ერთად და ზეობის ხანაც მთავრდება. თურქეთში კი სხვა ვითარებაა, 10 წელიწადია ფეხბურთს იქ ყურადღება არ აკლია, უპირველესად კი მთავრობისგან. აქეთ თურქეთის ნაკრები, იქით „გალათასარაი“. ვინ ელოდა, თურქები თუ ასე წამოიჩიტებოდნენ. მთავარი მაინც ეროვნული ჩემპიონატია, ნაკრები ძირითადად სწორედ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეთაგან უნდა იყოს დაკომპლექტებული. ჩვენთან კი რა ხდება? 400-მდე ლეგიონერი იმიტომ გვყავს, რომ აქ სათამაშოდ არანაირი პირობა არ არის. ფეხბურთში ფულიანი კაცი არ მოვა, თუ ქვეყანამ არ შეუწყო ხელი. ქართულ ფეხბურთში ფულის დამბანდებელს შემოსავალი არა აქვს. სატელევიზიო-სარეკლამო უფლებების ყიდვა არავის სურს, სპონსორებს არანაირი პრივილეგია არა აქვთ, მატჩებზე ბილეთებიც არ იყიდება, საკლუბო ატრიბუტიკაზე რომ აღარაფერი ვთქვა.

**— საქმე თუ ასეა, თავად ბრძანდებით პირველი ლიგის „მცხეთის“ პრეზიდენტი? რატომ აბანდებთ ფულს ამ კლუბში?**

— პირველი და რეგიონალ ლიგის გუნდთა ხარჯები, მოგეხსენებათ, ძალიან მცირეა. თანაც „მცხეთაში“ მარტო არ ვარ, გვეხმარება მცხეთის გამგეობა, ქალაქის სპორტკომიტეტი. გლდანის სკოლა-ინტერნატი კვებისა და შეკრების პრობლემას გვიხსნის. ერთიცაა, მცხეთას ფეხბურთი ხომ უნდა. ამ ქალაქში აქამდე ფეხბურთი არ არსებობდა. ქალაქი ოდნავ მაინც გაცოცხლდა, ჭაბუკები საქმით არიან დაკავებულნი.

**— რუსეთში თქვენი წასვლა „მცხეთას“ არ ავნებს?**

— გუნდი სტრუქტურულად მოწესრიგებულია და საქმე, ალბათ, უჩემოდაც გაკეთდება. მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტისას კი, რა თქმა უნდა, რუსეთში მწვრთნელობა ხელს არ შემიშლის.

**— თქვენივე გუნდი რომ გაგეწვრთნათ?**

— არა. საქართველოს პირველი ლიგის დონე არ მაკმაყოფილებს.

**ქობა ინასარიძე**

# ქართული ჯოკერი

## ვასო ქულად ფასობს

**„ქართული ჯოკერი“** — ასე მონათლეს რუსმა ჟურნალისტებმა „ალანიას“ ახალი შემტევი წყვილი. გიორგი დემეტრაძეს და მიხეილ აშვეთიას ვლადიკავკაზში ადრეც უთამაშიათ, მაგრამ მათი დაბრუნება წარმოუდგენლად ხმაურიანი გამოდგა. დანიური „კოპენჰაგენიდან“ გადასულმა აშვეთიამ ორ მატჩში უკვე სამი გოლი გაიტანა, ყოფილმა რკინიგზელმა დემეტრაძემ კი თავისი რე-დებიუტი დედაქალაქურ „ტორპედო ზილთან“ დუბლით აღნიშნა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. ის თამაში „ალანიამ“ 5:2 მოიგო და რთული სატურნირო ვითარება ოდნავ გამოიკეთა, მისი უშუალო კონკურენტები ხომ ბოლო ტურში ერთმანეთის მიყოლებით დამარცხდნენ.

პირველივე წუთებზე დემეტრაძის ჩინებული პასით გიორგი ბაზაევმა ვერ ისარგებლა. მალევე „დემემ“ სახიფათო საჯარიმო დაარტყა და კუსოვს გასატანად ცოტა დააკლდა. მე-17 წუთზე აშვეთიას პასს პენალტი მოჰყვა, რომელიც ზუსტად დაარტყა დემეტრაძემ. მერე სტუმრებმა გაათანაბრეს, მაგრამ ტაიმის მიწურულს დემეტრაძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ბაზაევმა ჩააწოდა და აშვეთიამ თავით გაიტანა. შესვენების შემდეგ ხომ მთლად გაილალეს, დემეტრაძის პასით აშვეთიამ და პირიქით, ჩვენებმა თითოც შეაგდეს და ვლადიკავკაზური საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანეს. 5:2 კი აუტსაიდერისთვის ერთობ სოლიდური შედეგია.



გია ახალაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძე „ალანიაში“ რიხით დაბრუნდა

რუსეთის პირველ ლიგაში კვლავ გამოირჩა რუბინელი დავით ჩალაძე. „ხიმკისთან“ მატჩის ბოლოს ქართველმა მცველის შეცდომით ისარგებლა, მეკარე სტრიკალოვთან პირისპირ გავიდა და წერტილი დასვა. „რუბინმა“ 2:0 მოიგო და პირველ ადგილზეა, ჩალაძე კი 9 გოლით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

ავსტრიაში სეზონი უხეიროდ დაიწყო დავით მუჯირის „შტურმმა“. ჯერ იყო და, ქვეყნის სუპერთასზე „გრაცერთან“ 0:3 წააგო, გუშინწინ კი ჩემპიონატის პირველ მატჩში, საკუთარ „არნოლდ შვარცნეგერზე“, ვენის „რაპიდთან“ 0:4 განადგურდა. მუჯირი მინდორზე მეორე ტაიმში ალენ მასუდის მაგიერ გამოჩნდა, თუმცა თავისიანებს ვერაფრით შეეწია. ჩვენი ავსტრიელი კოლეგები წერენ, ივიცა ვასტიჩის არყოფნაში მასპინძელთა შუა ხაზი მოისუსტებდა და თავდამსხმელებს, ამოას, შაბიჩს, ჰაასს და მუჯირს პასებით დროულად ვერ ამარაგებდაო. წესით, მუჯირს ვასტიჩის ადგილზე, ფორვარდების უკან უნდა ეთამაშა, მაგრამ, ჩანს, მწვრთნელებმა წინ წაწიეს. „შტურმს“ კი თურმე ოთხი წელიწადია ასე სამარცხვინოდ აღარ წაუგია.

ჩემპიონატი დაიწყო უკრაინაშიც. პირველივე ტურში ერთმანეთს ქართველების გუნდები შეხვდნენ, სიმფეროპოლში „ტავრიამ“და ზაპოროჟიას „მეტალურგმა“ 1:1 ითამაშეს. ბრძოლა გვარიანი გამოდგა და შედეგად მსაჯმა რვა ფეხბურთელი გააფრთხილა, მათგან ერთი ზაპოროჟიელი ირაკლი მოდებაძეც იყო. მთავარი ამბები კი ბოლო 25 წუთში მოხდა, სტუმრები მელნიკის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ მალევე ყირიმელებმა ვასო გოგიაძის პენალტით გაათანაბრეს.

კიევის „არსენალი“ კი უქართველოდ არ დარჩა. ლევან მიქაძე, ვინც შარშან არმიელთა ძირითადის ფეხბურთელი გახლდათ, ახალი სეზონის წინ გუნდის განაცხადში ველარ აღმოვაჩინეთ. სამაგიეროდ, გაარმიელდა 21 წლის ბათუმელი შალვა აფხაზავა, რომელმაც „შახტართან“ გახსნის შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან უცქირა.

ლატვიაში კი სეზონის ერთ-ერთი მთავარი მატჩი გაიმართა. ლიდერმა „ვენტსპილსმა“ მეორეზე მდგარ ქართველების „სკონტოს“ უმასპინძლა. დამხედური ჯერ იგებდა, მერე აგებდა, მაგრამ ბოლოს ორთავეჯანი 2:2-ით დამთავრდა. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ პირველ ტაიმში ვენტსპილსელმა რიმკუსმა პენალტი ვერ გაიტანა. ამ გუნდებს შორის სხვაობა ისევ ოთხი ქულა დარჩა, მაგრამ ჩემპიონატი ხომ ახლაღა გახურდა და სათამაშოც ჯერ კიდევ ბევრი აქვთ.

**სოლომონ ბულისკვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რაპიდი 0:4 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 10 |
| | | | **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | ბაზელი 0:1 | 0 | | 0 | 0 | — |
| | | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | ზილ 5:2 | 90 | 2 გოლი, საგ. პასი | 1 | 2 | 15 |
| გია იმედაძე | ალანია | შ | ზილ 5:2 | 0 | | 10 | 2 | 15 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | ზილ 5:2 | 73 | 2 გოლი, საგ. პასი, შეცვალეს | 2 | 3 | 15 |
| დავით ქოჯაშვილი | სპარტაკი | შ | ზენიტი 4:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | შ | ცსკა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | როტორი 0:3 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | შინიკი 0:6 | 90 | | 12 | 1 | 13 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | კრილია 0:1 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 12 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | კრილია 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| | | | **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ლოკომოტივი 0:0 | 90 | | 14 | 0 | 17 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ლოკომოტივი 0:0 | 90 | | 16 | 1 | 17 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ლოკომოტივი 0:0 | 90 | | 13 | 0 | 17 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ხიმკი 2:0 | 0 | | 11 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ხიმკი 2:0 | 45 | შეცვალეს | 7 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ხიმკი 2:0 | 90 | 1 გოლი | 14 | 9 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | ს | კრისტალი 0:0 | 0 | | 14 | 2 | 12 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | შ | მეტალურგი 2:0 | 0 | | 4 | 1 | 14 |
| ალექსანდრე გელაძე | ასკროსტოვი | ს | დინამო 2:2 | 0 | | 4 | 0 | 15 |
| | | | **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | მ. ზაპოროჟია 1:1 | 31 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | — |
| ვასილ გოგიაძე | ტავრია | შ | მ. ზაპოროჟია 1:1 | 90 | 1 გოლი, პენ. | 1 | 1 | — |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | მ. ზაპოროჟია 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | — |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | ს | ტავრია 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | — |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | შახტარი 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | — |
| | | | **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 14 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:2 | 56 | შეცვალეს | 13 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:2 | 56 | შეცვალეს | 15 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | მეტალურგსი 0:2 | ? | | ? | ? | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტერი ვენეიბლზი ლიდსში ხელგაშლილი და საჩემპიონო ამბიციით ჩავიდა

# იუბილე დაგეგმილია

## ტელი ჩემპიონობისთვის ემზადება

**იორკშირში** გუშინწინ ჩასული ტერი ვენეიბლზი ფიქრობს, რომ „ლიდსის“ მწვრთნელობა მისთვის საუკეთესო შანსია. „აქამდე ჩემი გაწვრთნილი გუნდი ინგლისის ჩემპიონი არასდროს გამხდარა“ — შეახსენა თავის პირველ ლიდსურ პრეს კონფერენციაზე დამსწრეთ „ელ ტელმა“, რომელიც სეზონის ბოლოს 60 წლისა შეხვდება და იუბილეს აღნიშვნას სწორედ პრემიერლიგის მოგებით გეგმავს.

„დიახ, „ბარსელონასთან“ ერთად პრიმერადივიზიონი პირველივე წელს მოვიგე, მაგრამ სამშობლოში ანალოგიურის ჩადენა ჩემი ოცნებაა. ხალხი ამბობს, რომ ჩემი სამწვრთნელო ნიჭი სრულად არ გამომიყენებია და ინგლისის საკლუბო ფეხბურთში დიდ წარმატებებს ამიტომაც ვერ მივაღწიე. ნაწილობრივ, ეს მართალია, მაგრამ იმასაც შეგახსენებთ, რომ მწვრთნელობის პირველი 8 წელი „კრისტალ პალასს“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ შევალიე, 3 სეზონი ესპანეთში გავატარე, დაახლოებით ამდენივე კი ინგლისისა და ავსტრალიის ნაკრებების სათავეში. ერთადერთი რეალური შანსი, სამშობლოში რაიმე მომეგო, „ტოტენჰემთან“ ერთად მქონდა, მაგრამ...“

რაც იყო, იყო. ტერი ვენეიბლზს ინგლისში ბევრი აფასებს, ზოგი კი მას კუნძულის საუკეთესო მწვრთნელადაც მიიჩნევს. ასე რომ არ იყოს, ტელი ტელევიზიაში ვერ მოხვდებოდა — იქ ხომ, ჩვენგან განსხვავებით, მაყურებელს პატივს სცემენ და ეთერს მხოლოდ თავისი საქმის პროფესიონალსა და გასაგებ ენაზე მოუბარს ანდობენ. „ტელევიზიაში გატარებული დრო უქმად არ ჩაივლის — მე ხომ პრემიერლიგის ყველა მატჩს ვუყურებდი, ასე რომ, საქმის კურსში ვარ“ — ამბობს ვენეიბლზი.

ჯერჯერობით, „ლიდსის“ ახალი მწვრთნელი იმ ფეხბურთელების შენარჩუნებას ცდილობს, ვისაც ემედება. ლას ვეგასის კაზინოებში ძმაკაც ეშლი კოულთან ერთად მონავარდე რიო ფერდინანდმა უკვე განაცხადა, რომ სიამოვნებით იმუშავებს კაცთან, ვინც 17 წლისა ეროვნულ გუნდში მიიყვანა. არადა, რიოს ყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს და 35 მილიონ გირვანქასაც ჰპირდება ლიდსელებს. ფრანგ ოლივიე დაკურს „იუვენტუსი“ ეკურკურება (15 მილიონზეა ლაპარაკი), ლი ბოიერს ჟერარ ულიეს „ლივერპული“ ეპატიჟება, რობი კინს კი — „სანდერლენდი“.

„ვეცდები, ყველა დავარწმუნო, რომ ჩემპიონობა შეგვიძლია. ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, მარტო თავდასხმის ხაზი გვყავს ისეთი, ბევრი ვერც ინატრებს. მარკ ვიდუკასა და ჰარი კიუელს ავსტრალიის ნაკრებიდან ვიცნობ, ალან სმიტი მალე ალბათ ინგლისის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში იქნება, დაუმატეთ ამათ მაიკლ ბრიჯისი და რობი კინი. არა, ასეთი თავდასხმა „ბარსელონაშიც“ არ მყოლია“ — თქვა ვენეიბლზმა და დასძინა, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩვენი მთავარი კონკურენტები „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ იქნებიანო.

**ზიზა ძოზახიძე**

# ტონის მომავალი

**ინგლისში** არ წყდება ლაპარაკი ტონი ადამსის რომელიმე დაბალდივიზიონური კლუბის მენეჯერად დანიშვნის შესახებ.

„არსენალის“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი წლეულს გამოეთხოვა თამაშს და ბევრს ეგონა, რომ მშობლიურ კლუბში დაიკავებდა რაიმე თანამდებობას. მაგრამ ადამსი არავის უნახავს პირველ წინასასეზონო ვარჯიშზე მეთოფეთა შორის, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ჭორები მისი სამენეჯერო თანამდებობაზე გამოჩენის შესახებ.

ყველაზე ხშირად ახსენებდნენ პირველი დივიზიონის „უოტფორდს“, რომელმაც სეზონის ბოლოს დაითხოვა მენეჯერი ჯანლუკა ვიალი და მართლაც ეძებდა გუნდის ახალ თავკაცს. თუმცა, თავად კლუბი ადამსის სავარაუდო მენეჯერობას არ ადასტურებდა და გუშინ დანიშნა კიდეც რეი ლევინგტონი, ვინაც ადრე „ბრენტფორდსა“ და „ფულემში“ მუშაობდა.

მეთოფეთა დიდი კაპიტნის გამოჩენას ეგებ, პატარა „ბრაიტონ ენდ ჰოუ ალბიონში“ უფრო ელიან, საიდანაც ცნობილი პიტერ ტეილორი წავიდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ლონდონურმა „ბრენტფორდმა“ უარი თქვა ადამსის დანიშვნაზე.

ასე რომ, ტონი ადამსის გამენეჯერების ამბავი ჯერჯერობით გაურკვეველია.

**ირაკლი ბამყრელიძე**




ტონი ადამსი

# ბექემი გაიყიდა!

## ნაჭერ-ნაჭერ და აუქციონზე

**გერმანიის** ნაკრების მეკარე, ოლივერ კანი კი შესწვდა „ოქროს ბურთს“ მაგრამ, როგორც ინგლისური სააგენტო „როიტერი“ გვაუწყებს, „პლატინის ბურთის“ ამბავში დევიდ ბექემს ვერ შეეცილა.

ახლა, რა არის ეს პლატინის ბურთი? ეს ყოფილა პლატინისგან დამზადებული ფეხბურთის ბურთი, რომლის სამ ნატეხზეც ინგლისის ნაკრების კაპიტანს თავისი ხელმოწერა დაუსვამს. ისინი იაპონიაში, საქველმოქმედო აუქციონზე გასაყიდად გაუტანიათ. სხვა ნატეხები სხვა ფეხბურთელების ხელმოწერითაც წარუდგენიათ საზოგადოებისთვის, მაგრამ ბექემის ავტოგრაფიანი სამ მილიონ იენად, ანუ 25 460 დოლარად გაყიდულა, ხოლო კანისა, 700 ათასი იენით ნაკლებად. მესამეზე ზინედინ ზიდანის ავტოგრაფიანი ბურთი გასულა.

აუქციონის სპონსორი “ადიდასი“ ბრძანებულა, ხოლო აუქციონის პრეს ატაშეს, სეიჯი შიმადას ასე უთქვამს:

„დაახლოებით ამას ველოდი კიდეც, ბექემის პოპულარობა უდიდესია, მით უფრო იაპონელ ქალებში“.

აღსანიშნავია, რომ ყველა მყიდველი ანონიმური ბრძანდებოდა და განძს ინტერნეტით იძენდა. ჯამში აუქციონმა, რომელიც ათ დღეს გაგრძელდა, 7,6 მილიონი იენი შეაგროვა.

აღსანიშნავია, რომ კანს ხელი ორ ნატეხზე მოაწერინეს, ზიდანს — ერთზე. სულ 32 ნაჭერი თუ ნატეხი ყოფილა, ავტოგრაფები კი ალესანდრო დელ პიეროს, დიეგო პლასენტეს და იაპონიის ნაკრების მწვრთნელს, ფილიპ ტრუსიესაც დაუსვამთ. შემოსული თანხა, განვითარებად ქვეყნებში ბავშვებისთვის ნამდვილი ბურთების შეძენას მოხმარდება, ექსპერტები კი აცხადებენ, საკუთრივ ბურთის საწყისი ფასი 42 ათას დოლარზე მეტი არ იქნებოდაო.



დევიდ ბექემმა ფული ხელითაც იშოვა

შემდეგ, ასე დათვალეს: ბექემის ავტოგრაფიანი ნატეხები თითქმის 26 ათას დოლარად კი გაიყიდა, მაგარმ ეს თანხა, სოლიდურობის მიუხედავად, მის ახალ, ყოველკვირეულ ხელფასზე 155 ათასით ნაკლებიაო.

ჩვენ კი, ეჭვი გვაქვს, რომ მანჩესტერელის ხელმოწერილი სამი ნაჭერი ჯამში მართლაც უფრო ძვირად უნდა გაყიდულიყო, ვიდრე ბაიერნელის ხელმოწერილი ორი და რეალელის ხელმოწერილი ერთი.

**ბაჩუნა ძიდია**

# საკლები, მაკლები და სხვაობა

## ძვირი ხარ შენ ჩემო, სიკორა

**ისე ჩანს,** რომ ვიტესელ ვიქტორ სიკორას ლონდონის „ფულემი“ იყიდის. ყოველ შემთხვევაში, ჰოლანდიური კლუბი ამ ფაქტს შეგუებულია, ბოლო დღეებია „ვიტესის“ 25 ფეხბურთელი მის გარეშე ვარჯიშობს. სანაცვლოდ კი ლონდონელები 5 მილიონ ევროს სთავაზობენ, თუმცა ჰოლანდიელები ექვსს ითხოვენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

სიკორა მარცხენა გარემარბია, რომელიც „აიაქსის“ თავკაცს, რონალდ კუმანსაც ერთობ მოსწონს და მის გადაბირებას ცდილობდა კიდეც, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მიზეზი: 4 მილიონ ევროს პლუს თავდამსხმელი რიხარდ კნოპერი, „ვიტესის“ მწვრთნელს მაიკ სნოკის ეცოტავა. საბოლოოდ, „აიაქსს“ განზრახვაზე ხელის აღება და მარცხენა გარემარბის სხვაგან ძებნა მოუხდა.

აქ აღსანიშნავია, რომ „ვიტესი“ ბოლოხანს ფინანსურ პრობლემებს ებრძვის და საამისოდ ფეხბურთელების გასხვისების ხერხს მიმართავს კერძოდ, დიარა „ლიონს“ ათხოვა, ვან დერ შაფი „ეინდჰოვენს“, ხოლო ვან ჰინტემი „ჰანოვერს“. შესაბამისად, ამა თუ იმ სატრანსფერო ოპერაციის ბედი მარტივ არითმეტიკაზე გამოდის დამოკიდებული. მაგალითად, ზემოხსენებული აიაქსელი რიხარდ კნოპერის შემთხვევაში „ვიტესის“ უარი იმან განაპირობა, რომ კნოპერს ამსტერდამში წელიწადში 800 ათას ევროს უხდიან. არადა, ის ჩვეულებრივ სათადარიგოა. „ვიტესი“ ასეთი ხელფასის გადახდას ვერ შეძლებდა, მიუხედავად იმისა, რომ 59-მილიონიანი ვალი დაახლოებით 12 მილიონამდე შეამცირა.

სნოკიმ თქვა: „ასე რომ გაგრძელებულიყო, გაკოტრება არ აგვცდებოდა. საბედნიეროდ, ჩვენთან ახალგაზრდა, ნიჭიერი და ამბიციური ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებსაც, თუ ერთ ხერიან ნახევარმცველს დავამატებთ, გვარიანი ფეხბურთის თამაშს შეძლებენ“.

ერთი სიტყვით, „ვიტესს“ იმედი აქვს, რომ რამდენიმე ფეხბურთელის გასხვისების მიუხედავად, მისი მომავალი თაობა წარმატებებს მიაღწევს. აქვე დავძინოთ, რომ „ფულემს“, რომლის ხსენებითაც ამ ჰოლანდიურ გუნდზე საუბარი დავიწყეთ, მისგან დეიან სტეფანოვიჩის ყიდვაც სურს, თუმცა თავად სტეფანოვიჩი ამბობს, რომ მას „ვიტესში“ დარჩენა სურს:

„მყიდველს და შემოთავაზებულ თანხას მნიშვნელობა არ აქვს, „ვიტესს“ ჩემი გაყიდვა რომ ნდომებოდა, ამის შესახებ პირველ ივლისამდე მეტყოდა. ასე რომ, დღეიდან მე მხოლოდ ჰოლანდიის ჩემპიონატში სათამაშოდ ვემზადები“.

**ბაჩუნა ძიდია**




ვიქტორ სიკორა (მარცხნივ) ჰოლანდიელებმა ძვირად დააფასეს

# 2003-04 მეორე ჯგუფური აღარ იქნება!

CHAMPIONS LEAGUE

**გადაწყდა** — 2003-04 წლების სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის ფორმატი შეიცვლება და კალენდარიც ნაკლებად გადატვირთული იქნება, ხოლო 2005 წლიდან ევროპა კონფედერაციათა თასის გათამაშებაში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

ლიგით დავიწყოთ. უქმდება მეორე ჯგუფური ეტაპი ანუ ოცდათორმეტი გუნდი რვა ჯგუფში განაწილდება, ხოლო საუკეთესო თექვსმეტი ხელმეორედ დაჯგუფების ნაცვლად მერვედფინალში გააგრძელებს ბრძოლას. აღნიშნული გადაწყვეტილება უეფას აღმასრულებელი კომიტეტის ორდღიან სხდომაზე მიიღეს.

სხდომის თავმჯდომარემ, უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა გადაწყვეტილებას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მსოფლიოში საუკეთესო და მომგებიანი საკლუბო შეჯიბრის ფორმატის შეცვლა იოლი გადასაწყვეტი არ ყოფილა. უამრავი დეტალის და დაინტერესებულ მხარეთა აზრის გათვალისწინება იყო საჭირო. მხედველობაში უნდა მიგვეღო კლუბების, ფეხბურთელების, გულშემატკივრების, ტელეკომპანიებისა და სპონსორთა ინტერესები. საერთოდაც, ტურნირის ფორმატის ხშირად ცვლა სასურველი არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სწორად მოვიქეცით, ფეხბურთის განვითარებისთვის ასე იყო საჭირო."

მოგეხსენებათ, აღნიშნული საკითხი კარგა ხანია, დღის წესრიგში იდგა. აზრთა ერთიანობა არ ყოფილა, მაგრამ უმრავლესობა მეორე ჯგუფურ ეტაპს შეჯიბრის უაზროდ გაწელვას უწოდებდა. ერთი მხრივ, მეტი თამაში (მეორე ჯგუფურ ეტაპზე ორმოცდარვა მატჩი იმართება) მეტ შემოსავალსაც ნიშნავს, მაგრამ გადატვირთული კალენდარი მოთამაშეთა ფიზიკურ ფორმაზე და აქედან გამომდინარე, თამაშის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლიგაში საკმაოდ ბევრი იყო არაფრის გადამწყვეტი მატჩები, რომლებიც, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ტარდებოდა. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ლიგის ფორმატის შეცვლა აქამდე ვერ მოხდებოდა — უეფას ტელეკომპანიებთან და სპონსორებთან კონტრაქტები აკავშირებდა.

კონფედერაციათა თასის თაობაზე კი, რომელსაც ფიფა ათამაშებს, ითქვა, რომ ამ ნაკლებად მიმზიდველი შეჯიბრისთვის ფეხბურთელთა მოცდენა არ ღირს.

უეფას აღმასრულებელი კომიტეტი უეფას თასის ფორმატზეც აპირებს მსჯელობას, ოღონდ ეს რამდენიმე თვის მერე, 12-13 დეკემბრის სხდომაზე მოხდება.

**გიორგი დარჯანია**



კარლოს ალბერტო პარეირამ 1994 წელს ბრაზილია გააჩემპიონა

# ნიგერიამ პარეირა მოიფიქრა

**ცნობილი** ბრაზილიელი სპეციალისტი კარლოს ალბერტო პარეირა ნიგერიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. რამდენიმე დღის წინ მას რუსეთის ნაკრების მთავარმწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატადაც მიიჩნევდნენ, თუმც რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა არასერიოზულ და საეჭვო კვალიფიკაციის მწვრთნელად მოიხსენია და ეს საქმეც ცხადია, არ გაიჩარხა.

შეგახსენებთ, რომ კარლოს ალბერტო პარეირამ 1994 წელს ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობა მოაპოვებინა.

საერთოდაც, ის მოხეტიალე მწვრთნელთა კატეგორიაში შეჰყავთ — ბრაზილიის გარდა კიდევ ბევრ საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ქვეყნებში უმუშავია. ახლა კი ნიგერიელი „სუპერარწივების" მოთვინიერებას შეეცდება.

ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ დიდხანს იფიქრა, ადეგბოიე ონიგბინდეს შემცვლელად კვლავ ადგილობრივი კაცი დაენიშნა თუ უცხოელი მიეწვია და როგორც ხედავთ, უცხოტომელზე შეჩერდა.

შეგახსენებთ, რომ ადეგბოიე ონიგბინდე ნაკრებიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში ჩარჩენის გამო წავიდა, თუმცა ამას ნიგერიული ფეხბურთის ჩავარდნის ნაცვლად გუნდში შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციას უფრო აბრალებენ, რაც, ცხადია, მწვრთნელის სისუსტეს ნიშნავს.

**კახა შალამბერიძე**





„რეალისთვის" ფინალი მეჩვიდმეტე სალიგო მატჩი იყო. გუშინ ლენარტ იუჰანსონმა ფინალისტებს ოთხი თამაში მოაკლო



# ვან გაალის ფსიქოთერაპია

**ლუის ვან გაალმა** „ბარსელონას" ბაზაზე სახელდახელო პრესკონფერენცია მოაწყო. ჟურნალისტებისა და ჰოლანდიელის გასაუბრება ახალი მწვრთნელის მიერ ჩატარებული პირველი ვარჯიშის მერე შედგა. ვარჯიშს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატმოვლილი ფეხბურთელები აკლდნენ.

— თუ სათანადოდ ვიმუშავებთ, სახელსაც და ტიტულებსაც დავიბრუნებთ. მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალე ფეხბურთელები გვყავს, ბოლო ორ სეზონში გუნდმა ვერაფერი მოიგო, გამარჯვებულის ფსიქოლოგიის აღსადგენად კი გვარიანი ოფლისღვრა მოგვიწევს — ვან გაალმა კარლოს რექსაჩსა და ლორენს სერა ფერერსაც გაჰკრა კბილი.

როგორ იქნებოდა, საუბარი რიკელმეს არ შეხებოდა და ვან გაალმა არგენტინელს „ბარსაში" არცთუ სახარბიელო მომავალი დაუსახა:

— არ გამოვრიცხავ, რიკელმე იჯარით გავუშვათ. მე წინ ვიყურები. მას ამბიციაც აქვს და შესაბამისი პოტენციალიც. ვნახოთ, რა იქნება.

რივალდოზე ვან გაალს არაფერი უთქვამს, ალბათ, ჯერ თავად მორიგდებიან.

**სერგი ძორიძე**



ჟაკ სანტინი მიშელ პლატინის ფავორიტია

# ფრანგულ საცერში სამნი დარჩნენ

## ტორიემ ენას კბილი დააჭირა

**საფრანგეთი** ნაკრების მწვრთნელის ძიებაშია. როჟე ლემერის ადგილის მაძიებელთა რაოდენობა თავიდან ექვსი იყო: ჟან-ფრანსუა დომერგი, ჟან ტიგანა, ჟაკ სანტინი, ალენ ჟირესი, ფილიპ ტრუსიე და რაიმონ დომენიკი.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კლოდ სიმონე და ლიგის პრეზიდენტი ფრედერიკ ტორიე ერთმანეთს შეხვდნენ, რათა ნუსხა გაეცხრილათ. ჯერჯერობით სამი კანდიდატი ამოვარდა: დომერგი, ტიგანა და ჟირესი, ანუ სამი დარჩა: „ლიონის" მწვრთნელი ჟაკ სანტინი, იაპონიის მწვრთნელყოფილი ფილიპ ტრუსიე და 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი რაიმონ დომენიკი.

კლოდ სიმონემ შეხვედრის შემდეგ თქვა: „ბოლო 36 წლის მანძილზე საფრანგეთი პირველი მსოფლიოს ჩემპიონია, რომელიც ჯგუფიდან ვერ გავიდა. იმისთვის, რომ მომავალში სერიოზული შეცდომები აღარ მოგვივიდეს, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, შევაჯერეთ და სამ კანდიდატზე შევჩერდით."

რომელს უფრო მეტი შანსი აქვს? გაზეთი „ეკიპი" რაიმონ დომენიკს მიიჩნევს ფავორიტად, მას ემხრობა მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, მსოფლიოს ჩემპიონი ემე ჟაკე.

„ლე პარიზიენს" უფრო ფილიპ ტრუსიეს დანიშვნისა სჯერა, თუმცა იგი 1989 წლის შემდეგ სულ მოგზაურობაშია და საფრანგეთში არ უმუშავია.

ფიფას ვიცე-პრეზიდენტი მიშელ პლატინი ჟაკ სანტინისკენ იხრება. მაგრამ სანტინი ლიგის პრეზიდენტ ფრედერიკ ტორიეს არ მოსდის თვალში. პრესასთან და საერთოდ ხალხთან ურთიერთობაში მოიკოჭლებს, მე კი ვიცი ერთი გონებაგახსნილი კაცი, რომელიც მთავარი ნაკრების მწვრთნელობას იმსახურებსო — თქვა ტორიემ, თუმცა ვინაობა არ გაამხილა. თუ იგი სანტინის წინაამდეგია, გამოდის, რომ ან ტრუსიეს გულისხმობს, ან დომენიკს.

მოკლედ, სამი ორგანიზაცია — მწვრთნელთა საბჭო, ლიგის კავშირი და ფედერაცია ინტენსიურად მუშაობს. კლოდ სიმონემ ადრეც თქვა 14-დან 22 ივლისამდე როჟე ლემერის შემცვლელი აუცილებლად გაცხადდება, 7 სექტემბერს, ახალი შესარჩევი ციკლის დაწყებას, გუნდი ახალი მწვრთნელით უნდა შეხვდესო.

**გაგა ხუციშვილი**

# ჩემი ბავშვობა

**დანიელ** სტიგ ტოფტინგს მოედანზე ბევრჯერ უჩხუბია და უღრიალია. რა ვუყოთ, მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ტოფტინგი 13 წლისა დაობლდა. მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას მავანმა დანიურმა გაზეთმა ფეხბურთელის მშობლების სიკვდილის შესახებ სტატია გამოაქვეყნა. ამ ამბავმა ტოფტინგი ისე განარისხა, გაზეთს სამკვდროდ გადაეკიდა.

ტოფტინგი ციხეშიც მჯდარა. 1999 წელს ერთ-ერთ კაფეში მუშტი-კრივის გამართვისთვის 20 დღე გისოსებს მიღმა აყურყუტეს.

ახლა ურესი მოხდა, კოპენჰაგენის რესტორან „კეტრუბში" დანიელი ფეხბურთელები შეიყარნენ და სუფრას შემოუსხდნენ. სტიგ ტოფტინგმა თავისი სანაკრებო კარიერა დაასრულა და შეიძლება ამასაც აღნიშნავდნენ. დიდად შესარგი სმა-ჭამის შემდეგ „ხარივით" შემთვრალმა ვიკინგმა სტიგმა რესტორნის მეპატრონე ათვალწუნა. სიტყვიერი შეკამათების შემდეგ ფეხბურთელმა პატრონს ერთი-ორი სილა უთავაზა. ჯანი იცოცხლე მოსდევს.

საქმე ამით არ დასრულებულა. როგორც ჩანს, უფროსობას ოფიციანტი გამოესარჩლა და ტოფტინგმა მისი ყბის გამძლეობაც მოსინჯა.

მტვრევა-ლეწვის შემდეგ დანიის ნაკრების მოთამაშენი დაიმალნენ ისე, რომ არც მაშინ და არც მეორე დღეს ბოლდიშის მოხდა აზრადაც არ მოსვლიათ.



სტიგ ტოფტინგი მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაიქნია ხელი

რესტორნის ადმინისტრაციამ ამის გამო სასამართლოში სარჩელი აღძრა. მიმდინარეობს „ტოფტინგის საქმის" ძიება და განაჩენს ოქტომბრის შუა რიცხვებში გამოიტანენ. მკლავ-მუშტის მჭნეველს ბრალდება თუ დაუმტკიცეს, შესაძლოა, 4 წლით ჩააყუდონ იქ, სადაც ჯერ არს.

ობლად გაზრდილია და, ალბათ, მოსამართლე გაითვალისწინებს.

**გაგა ხუციშვილი**



ფაბიო კანავარო (მარჯვნივ) ჯერ ისევ „პარმაში“



ფერნანდო კავენაგი

# იტალიური ბაზარი

ვისაც აქამდე არ სმენია, თუ ვინ არის გურამ მინაშვილი, მას აქვე დასტამბული მისი დოსიედანაც უკვე გაიცნობდა და ეს მის მიმართ მკითხველის ინტერესსაც ალბათ უფრო გაალვივებდა. იმათ კი, ვისაც გურამ მინაშვილის თამაში საკუთარი თვალით უნახავთ, დღევანდელი წერილი ოდინდელ ამბებს გაახსენებთ.

ასეა თუ ისე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის გამგე გურამ მინაშვილს თავის კაბინეტში ვესაუბრებით.

**— ახლა, როცა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოს" გამარჯვებას ვიხსენებთ, ბევრს აღარც კი ახსოვს, რომ ჩვენმა გუნდმა იმავე თასის გათამაშების ფინალში რიგის არმიელთა წინააღმდეგ 1960 წელსაც ითამაშა. თასისთვის მებრძოლთა შორის ქვეყნის ჩემპიონები დაიშვებოდნენ, მაგრამ იმ წლებში, კერძოდ 1959-1962 წლებში თბილისის „დინამო" ხომ ვერცხლის პრიზიორი იყო, 1960 წელს კი საქართველოს ნაკრებმა საკავშირო სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა, ეს გუნდიც, ფაქტობრივად, თბილისის „დინამო" იყო. ასეა თუ ისე, საინტერესოა თბილისის „დინამო" როგორ მოხვდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე?**

— თუ რაიმე მიზეზის გამო ამ ტურნირზე ჩემპიონი ვერ გამოვიდოდა, მაშინ ეს უფლება ვერცხლის მედალოსანს ენიჭებოდა. ამას გარდა, თასის მომდევნო გათამაშებაში ამგვარი უფლება ენიჭებოდა იმ გუნდსაც, რომელიც ევროპული ჯილდოს გასული წლის მფლობელი იყო. ამ შემთხვევაში ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვება ან სხვა საპრიზო ადგილზე გასვლა აუცილებელი არ იყო. ჩვენ რომ 1960 წელს ჩემპიონთა თასზე ვითამაშეთ, მაშინ რიგის არმიელები საბჭოთა კავშირის ჩემპიონები უკვე აღარ, მაგრამ ევროპის ჩემპიონთა ამ თასის ორგზის მფლობელები იყვნენ და მესამე ფინალიც ჩვენთან ბრძოლაში მოიგეს.

1962 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალამდე გზად სხვა გუნდებთან ერთად მოსკოვის ცსკა-ს შინაც ვძლიეთ და სტუმრადაც. ამაზე მოსკოვში გადაირივნენ — ცსკა-ს რომ მოუგეთ, ამით საბჭოთა კალათბურთის ძალიან ცუდი სამსახური გაუწიეთ, რადგან მადრიდის „რეალთან" ასპროცენტიანი მარცხი გელითო. განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ნიკოლაი სემაშკო აქტიურობდა. სხვათა შორის, ეს კაცი საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის პირველი მინისტრის შვილი გახლდათ. მაგრამ მთავარი ის კი არ იყო, რომ სემაშკოს ჩვენი მოგებისა არ სჯეროდა, არამედ ის, რომ გამარჯვების იმედი ქართველებსაც არ ჰქონდათ. ამაზე ბევრი რამ მეტყველებს. თუნდაც ის, რომ ფინალში სათამაშოდ თორმეტის ნაცვლად თერთმეტნი წავედით, თანაც ერთი უფროსი მწვრთნელის ოთარ ქორქაძის ამარა. ცხადია, ჩვენთვის არც გულშემატკივრები გამოუყოლებიათ, არც ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორი ან კინოოპერატორი. ამიტომ იმ დიდებული ფინალის ამსახველი მასალა არც მოგვეპოვება. ახლა ისიც კი მიკვირს, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ექიმი ზაქრო თელია რომ გამოგვაყოლეს.

**— ასე უპატრონოდ ჩასულებს ფინალური ბრძოლისას ვინმე თუ გქომაგობდათ?**

— ფინალი, მოგეხსენებათ, ჟენევაში გაიმართა. მადრიდელებმა უამრავი გულშემატკივარი ჩამოიყვანეს. ათიათასიანი დარბაზი ესპანელებით გაიჭედა. ესპანელებმა ტრიბუნებზე ენით აუწერელი ამბები დაატრიალეს. იყო ერთი ღრიალი, ბლავილი, საყვირების გამაყრუებელი ხმა, ბრაგუნი... ჩვენ კი მხოლოდ ოთხი ქართველი გულშემატკივარი გვყავდა, მაგრამ ხარისხობრივად ყველას სჯობნიდნენ, თუმცა, მათი ხმა, ცხადია, არც გაგვიგონია.

**— მაინც ვინ იყო ის ოთხი ქართველი?**

— დიდი ქართველი ემიგრანტი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონის მუზა, ულამაზესი ქალბატონი მერი შერვაშიძე, შალვა დადიანის პირველი მეუღლე ნინო ჩხეიძე, სპირიდონ კედიას ქალიშვილი ლიკა კედია.

**— აი, დამთავრდა ფინალური შეხვედრა. რა ხდება ამ დროს ტრიბუნაზე?**

— დასრულდა თუ არა თამაში, ესპანელთა მთელი არმია შოკში ჩავარდა და მოულოდნელად სამარისებურმა მდუმარებამ დაისადგურა. ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი. მდუმარებამ კარგა ხანს გასტანა. მერე აქაიქ კანტიკუნტად გაისმა ტაში.

**— და ამ დროს რა ხდება ქართველი გულშემატკივრების ოთხკაციან გუნდში?**

— ამაზე გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით გიპასუხებთ, რომელიც მან თავის დას მისწერა:

„ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სპორტულ გამარჯვებას სცილდება: ბევრად, ბევრად მეტია უკანასკნელზე. როგორც ქართველი — მე მხრებში გავიმართე."

და კიდევ:

„გავიფიქრე: მივსალმებოდი გამარჯვებულებს, — გადავიფიქრე. შეიძლება „ეუცხოვოთ-მეთქი", გავიულე გულში (მიხვდები — რის გამო). სიხარულთან ერთად ბასრი ტკივილი ვიგრძენი სულის სიღრმეში".

**— ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი მოსკოველმა ალექსანდრ პეტროვმაც შეიტანა. ის როგორღა მოხვდა თქვენს გუნდში?**

— საშა პეტროვი მოსკოვის დინამოელი და საბჭოთა ნაკრების გამორჩეული ცენტრი იყო. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში, დებულებით, გუნდის გაძლიერება ორი მოთამაშით შეგვეძლო, მაგრამ ერთს დავჯერდით. მართალია, სულ რაღაც შეიდნახევარი წუთი ითამაშა, მაგრამ მაინც დაგვეხმარა, როცა ლეჟავას ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

**— ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი შინ და სტუმრად ტარდებოდა, „დინამომ" და „რეალმა" კი მხოლოდ ერთი შეხვედრა გამართეს, თანაც ჟენევაში. მაინც, რა მოხდა?**

— ეს ყველაფერი ესპანეთის პოლიტიკურმა ამბებმა განაპირობა. ამის გამო ჩვენი შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე უნდა გამართულიყო. ასეთი ნეიტრალური მოედანი ნეიტრალური ქვეყნის ქალაქმა, ჟენევამ შემოგვთავაზა. ეს იყო ჰოკეის დარბაზი, რომელიც იმ დღისთვის საკალათბურთოდ მოაწყვეს. სარბიელს კი ერქვა ნეიტრალური, მაგრამ, როგორც ვთქვი, იგი ესპანელებით გაიჭედა და თამაშისას მყუდრო, წყნარ ქალაქს ლამის ცა თავზე დაეცა.

**— ახლა საქართველოში გადმოვინაცვლოთ და გავიხსენოთ, როგორ დაგხვდათ თბილისი...**

— როგორც ტრიუმფატორებს. 66 წლისა ვხდები და ამ ხნის განმავლობაში ქართველთა სამი უდიდესი სიხარული მახსენდება. პირველი მეორე მსოფლიო ომის დასასრულია, მეორე — ჟენევაში ჩვენი გამარჯვება, მესამე — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მიერ ევროპის თასების თასის მოგება. ეს — ქრონოლოგიური თვალსაზრისით, თორემ მნიშვნელობით ფეხბურთელებისთვის მეორე ადგილზე არიან. ასეა თუ ისე, თბილისის აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა. ღია მანქანებში გადაგვანაწილეს და ქალაქის ცენტრამდე ცოცხალ გვირაბში გამოგვატარეს. ქუჩები ხალხით გაივსო. სახეზე ყველას დიდი სიხარული და ბედნიერება აღბეჭდოდა. პირდაპირ საქართველოს ცეკას მაშინდელ პირველ მდივან ვასილ მჟავანაძესთან გაგვაქანეს. სათითაოდ ყველას მოგვილოცა და მოგვეფერა. ნაცნობსა და უცნობს ყველას ესალმებოდა. ჩვენი თასი მის მაგიდაზე დავდგით და მასაც მოეფერა. გვთხოვა, ერთი კვირით ჩემთან იყოს, რომ მისი ცქერით გავიხაროო. მერე მაშინდელ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გივი ჯავახიშვილს მიუბრუნდა და, ესენი არ დავაჯილდოვოთო? ჯავახიშვილმა, აბა, როგორ, თითოეულს 15 000-15 000 მანეთი მივცეთო.

**— შეასრულეს პირობა?**

— გადის სამი თვე და, ვასილ პავლოვიჩ, მგონი, 15 000-15 000 არ გამოდის და 10 000-10 000 მივცეთო. გადის კიდევ სამი თვე და გაირკვა, 5 000-5 000-ზე მეტის საშუალება არ გვაქვსო. ამასობაში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ათთამაშიანი წაუგებელი სერია ჩაატარეს, მხოლოდ ორი შეხვედრა დაასრულეს ფრედ. ფეხბურთელები ხომ ღირსნი არიან, რომ თითოეულს 1 500-1 500 მანეთი პრემიად მივცეთო. და მისცეს. საბოლოოდ, დაპირებული 15 000-ის ნაცვლად 3 500 მივიღეთ.

**— სპორტს თქვენთვის უდიდესი სიხარული მოუტანია და გაწბილებაც. ამ მხრივ, ალბათ, ყველაზე მწარედ მოსაგონარი 1959 წლის სანტიაგოს მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა იყოს. მაშინ ხომ უგვირგვინო ჩემპიონები გახდით, როცა ფინალურ ეტაპზე ვისაც შეხვდით, სძლიეთ, მაგრამ ტაივანთან თამაშზე უარის გამო საბჭოთა ნაკრებს წაგება ჩაეთვალა.**

— იმ ჩემპიონატში ფინალურ ეტაპზე ჩვენ და ბრაზილიელებს 5-5 ქულა დაგვიგროვდა, მაგრამ ჩემპიონებად ისინი გამოცხადდნენ, თუმცა მათ ქვეჯგუფშიც ვძლიეთ და ფინალშიც. ჩვენ საერთოდ უმედლოდ დაგვტოვეს და VI ადგილზე გადაგვისროლეს, რაკი ფინალურ ეტაპზე ტაივანთან სათამაშოდ არ გავედით და მასთან წაგება ჩაგვეთვალა. რომ გვეთამაშა და 0:200 წაგვეგო და მეტი ანგარიშითაც, ჩემპიონები მაინც ჩვენ გავხდებოდით, რადგან ბრაზილიასთან მოგებული გვქონდა.

**— მაინც, რას ერჩოდით ტაივანს, რატომ არ ეთამაშეთ?**

— მაშინ საბჭოთა კავშირში ბევრს გაიძახოდნენ, სპორტი პოლიტიკა არ არისო, მაგრამ სიტყვა სხვა იყო, საქმე — სხვა. ასე მოხდა სანტიაგოშიც. გეხსომებათ, 1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების მერე ჩანკაიში თავის თანამოაზრეებთან ერთად ჩინეთის პროვინცია ტაივანში გაიქცა. იქ მან ტაივანი „ჩინეთის რესპუბლიკად" გამოაცხადა, საკუთარი ხელისუფლება კი მთელი ჩინეთის ხელისუფლებად. ჩანკაიშის ჩინეთს ამერიკა უჭერდა მხარს და იგი გაერომაც აღიარა, მაო ძედუნის ჩინეთს იგი არ ცნობდა და მას საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს. ასე რომ, იმ დროს პრაქტიკულად ორი ჩინეთი იყო. რაკი საბჭოეთი ჩანკაიშის ჩინეთს არ ცნობდა, მასთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარს ამბობდა. ამიტომ სანტიაგოში ჩვენი გაშვება საერთოდ არ უნდოდათ. მერე საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა, სპანდარიანმა და გომელსკიმ მოსკოვი დაარწმუნეს, ქვეჯგუფში ისეთი ვითარებაა, ტაივანელებთან შეხვედრა არაფრით მოგვიწევსო. ჩვენდა ჭირად და ყველას გასაკვირად, ტაივანმა ეგვიპტესაც მოუგო, არგენტინასაც და ფინალურის შიდეულში გაძვრა. მაშინდელმა ფიბას პრეზიდენტმა რაკი საბჭოეთის ამბავი იცოდა, ფინალური შეხვედრები ისე დაგეგმა, რომ ჩვენ და ტაივანი ბოლო მატჩში უნდა შევხვედროდით. ამის მერე ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდა მოსკოვში, ტაივანთან თამაშის ნება მოგვეცით, თორემ დისკვალიფიკაცია არ აგვცდებაო, მაგრამ პასუხად არც ჰო იყო, არც არა.

**— დღეს სალაღობოდ დადის ის ამბავი, რომ ამერიკაში ნბა-ს კონტრაქტი არ მიიღეთ.**

— ესეც 1959 წელს იყო. მაშინ საბჭოთა კალათბურთელები პირველად ვეწვიეთ ამერიკას და ნბა-ს გუნდებს შევხვდით. ნათამაშებიდან 2 მოვიგეთ, რაც ამერიკელთათვის დიდად მოულოდნელი აღმოჩნდა. მაშინ „ნიუ იორკ ნიკერბოკერზსთან" შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. დამატებითი 10:9 მოვიგეთ. აქედან 9 ქულა ჩემს ანგარიშზე იყო. ამ შეხვედრის მერე „ნიკერბოკერზის" სელექციონერები გომელსკისთან მივიდნენ ჩემს გადასაბირებლად. მერე მეც დამიძახეს. კონტრაქტი გამომიწოდეს, რომელშიც თანხა ჩაწერილი არ იყო. მითხრეს, რამდენიც გინდა, ჩაწერე და ხელი მოაწერეო. გომელსკიმ იეშმაკა, სამი თვე გვადროვეთ, ამ საქმეს მოსკოვში ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების მერე გადავწყვეტთო. მერე ჩვენზე მომაგრებული იქაური კონტრდაზვერვის წარმომადგენელი მოვიდა. თომას ვეძახდით და ჩემთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რადგან ინგლისურ-რუსული ლექსიკონი ვაჩუქე, რითაც ძალზე გავახარე. ჰოდა, მოვიდა თომა და მეუბნება, ვიცი, თქვენები კონტრაქტზე უარს გათქმევინებენ, მაგრამ შენ თუ მოინდომებ, საქმეს ისე მოვაწყობ, რომ ეშმაკიც ვეღარ მოგძებნისო. იმ წლებში ხელის მოწერა და იქ დარჩენა საქართველოდან სამუდამო გადახვეწას, ოჯახისა და ყველას დაკარგვას ნიშნავდა. დღეს კი სულ სხვა დროა!

**ავთანდილ გურასაშვილი**



## გურამ მინაშვილი

*ქართული და საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიბადა თბილისში 1936 წლის 25 ნოემბერს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1962). 1953-დან 1967 წლამდე თამაშობდა თბილისის „დინამოში", 1968-1971 წლებში — თბილისის „სინათლეში", 1957-1963 წლებში იყო სსრკ ნაკრებში. მის შემადგენლობაში გახდა ევროპის სამგზის ჩემპიონი (1957, 1959, 1963), რომის ოლიმპიური თამაშების (1960) ვერცხლისა და მსოფლიოს ჩემპიონატის (1963) ბრინჯაოს პრიზიორი, ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტული თამაშების (1957) ვერცხლის მედალოსანი, თბილისის „დინამოსთან" ერთად ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962) და ფინალისტი (1960), სსრკ ჩემპიონატების ვერცხლის (1959-1961) და ბრინჯაოს (1965) პრიზიორი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანი.*



გურამ მინაშვილი, ლევან ინწკირველი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ვალერი ალთაბაევი, ილარიონ ხაზარაძე, ლევან მოსეშვილი და ამირან სხიერელი



# გრიგოლ რობაქიძე: როგორც ქართველი, მე მხრებში გავიმართე



ახლა, როცა 40 წლის წინათ თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა მიერ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვებაზე ვსაუბრობთ, გვახსენდება ამ საარაკო გამარჯვების თაობაზე ქართველი ემიგრანტი მწერლის გრიგოლ რობაქიძის დისადმი მიწერილი ბარათები.

რობაქიძე ჟენევაში იმ საკალათბურთო მატჩის ტრიბუნიდან მაცქერალ ქართველთა ოთხად-ოთხი გულშემატკივართაგანი და ერთადერთი ქართველი კალმოსანი იყო, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა თანამემამულეთა თამაში. პაექრობის დამთავრების მერე, ბუნებრივია, გრიგოლ რობაქიძეს სურდა თანამემამულეებთან მისვლა, მისალმება, მილოცვა და მათთან ერთად გახარება, მაგრამ:

„გავიფიქრე: მივსალმებოდი გამარჯვებულებს, — გადავიფიქრე. შეიძლება „ეუცხოვოთ-მეთქი", გავივლე გულში (მიხვდები — რის გამო)..."

გრიგოლ რობაქიძე 1930 წელს გადაიხვეწა გერმანიაში, მერე კი შვეიცარიაში დასახლდა. 1962 წელს ჟენევაში გამართულ თბილისის „დინამოსა" და მადრიდის „რეალის" კალათბურთელთა შეხვედრის მიმართ, ცხადია, გულგრილი ვერანაირად დარჩებოდა და ისიც ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ესპანელთა და ქართველთა პაექრობას. ამ ისტორიული ფინალის თაობაზე გრიგოლ რობაქიძემ ჟენევიდან მისწერა დას ორი ბარათი. ერთი, მოკლე ბარათი, თამაშის დამთავრებისთანავე, 30 ივნისს დაწერა, მეორე — 20 ივლისს. ოთხი თვის მერე, 1962 წლის 19 ნოემბერს, გრიგოლ რობაქიძე ჟენევაში 82 წლისა (ზოგი ცნობით — 78 წლისა) გარდაიცვალა.

საბჭოთა საქართველოში გრიგოლ რობაქიძის „საკალათბურთო" წერილების გამოქვეყნება, ისე, როგორც მისი სხვა თხზულებებისა, ბუნებრივია, წარმოუდგენელი იყო მანამ, სანამ საბჭოეთს წყალი არ შეუდგა. ემიგრანტი მწერლის ნაკალმევის გამოცემა 80-იანი წლების ბოლოს გახდა შესაძლებელი. სწორედ მაშინ, 1987 წელს თამაზ ჩხენკელის თაოსნობით გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის ის ორი წერილი, რომელიც მრავალმხრივ არის საყურადღებო და დამაფიქრებელი.

ახალგაზრდა თაობის ნაწილი ალბათ დღეს პირველად გაეცნობა გრიგოლ რობაქიძის იმ საკალათბურთო შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს, სტაჟიანი მკითხველი კი კიდევ ერთხელ გაიხსენებს ყოველივეს.

### 30.VI.1962 ჟენევა

გუშინ გაიმართა აქ შეჯიბრი კალათბურთელების — ქართველებისა და ესპანელების — პირველობისთვის ევროპაში. გაგებული გექნება: გაიმარჯვეს ქართველებმა: შვიდი პუნქტით გაუსწრეს ესპანელებს (90:83).

მარცხი ესპანელების კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ მათ არ ჰყოლოდათ ზანგი ჰიგტოუერ, გასაოცარი მოთამაშე (83 პუნქტითგან 32 მისია). ქართველები თამაშობდნენ: აუღელვებლად, შეწყობილად, მეტოდიურად — აქ სჩანდა უთუოდ ხელი მათი ხელმძღვანელის: ოთარ ქორქიასი.

ესპანელებს ეტყობოდათ აღელვება, თამაშობდნენ უფრო ცალკეულურად, არც საერთო გეზი ჰქონდათ ჯეროვნად მომართებული.

მე ძალიან ვღელავდი. გასაგებია: სისხლი! ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული: მაგარი.

### 20.VII.1962 ჟენევა

-ქართველი კალათბურთელების გამარჯვება აქ, ჟენევაში, ესპანელებთან შეჯიბრში ჩემთვის მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი.

1. აქ ესპანელები ბევრნი არიან. ზოგიერთნი ბუკებით (საყვირებით) მოვიდნენ. ყვიროდნენ — გასამხნევებლად თავისიანებისა, და, ცხადია, ნერვების ასაშლელად ქართველებისა. ვაკვირდებოდი ამათ: ყვირილი, ხივილი, განგაში — არავითარ გავლენას არ ახდენდა მათზე. არ ამჩნევდნენ თუ არ იმჩნევდნენ. აღმოაჩნდათ გასაოცარი წვართი ხასიათის.

2. პირველ ნახევარში შეჯიბრებისა ჩვენებმა 2 წერტით გაუსწრეს ესპანელებს. მე მჯეროდა, რომ ისინი პირველ შებმაში თუ ვერ გაიმარჯვებდნენ, არც დამარცხდებოდნენ: თანასწორ გამოვიდოდნენ ესპანელებთან ერთად. მეშინოდა მეორე შებმისა. საშინლად ვღელავდი. რატომ?

ცნობილია, რომ ქართველები საერთოდ პირველ შემართებაში „ხარჯავენ" მთელ „ცეცხლს" და შემდგომ ძალა აღარ ყოფნით: ცეცხლი აკლდებათ (მონღოლებს რომ არ გაეგოთ ეს თვისება ქართველთა, საქართველოს დაპყრობა ძალიან გაუჭირდებოდათ. „ქართლის ცხოვრებაში" არის სიტყვა შესახებ ამისა).

ახლა ვიკითხოთ, რა მოხდა შეჯიბრის მეორე ნახევარში. თუ პირველ ნახევარში 2 წერტით გაუსწრეს ჩვენებმა ესპანელებს, — მეორე ნახევარში 5-ით. ცეცხლი არა თუ მოაკლდათ, — პირიქით: კიდეც მოემატათ. ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სპორტულ გამარჯვებას სცილდება: ბევრად, ბევრად მეტია უკანასკნელზე. როგორც ქართველი — მე მხრებში გავიმართე.

3. გამარჯვებულები არ „აყვირილებულან" გამარჯვებით. ერთი მათგანის სახეზეც ვერ ამოიკითხავდი: „ხომ გაჯობეთ!" ზრდილად, რაინდულად, ქართველურად გაუწოდეს ხელი მოპირდაპირეთ. დაუვიწყარი სურათი!

გამარჯვების ნახევარი თითქმის გამარჯვებულთა ხელმძღვანელს უნდა ვაკუთვნოთ: ოთარ ქორქიას, ვთქვათ პირდაპირ: მათს სულისჩამდგმელს. დიდი ოსტატი ყოფილა, დიდი! მატჩის დროსაც ამა თუ იმ დარიგებას აძლევდა აზრდილებს თავისსა. აღსანიშნავია ესეც: ყოველ მათგანს ექცეოდა როგორც ნამდვილი ძმა, უფროსი ძმა. კარგი იქნებოდა გადასცემდე მას, რასაც აქ ვწერ შეჯიბრზე. კარგი იქნებოდა!

გავიფიქრე: მივსალმებოდი გამარჯვებულებს, — გადავიფიქრე. შეიძლება „ეუცხოვოთ-მეთქი", გავივლე გულში (მიხვდები — რის გამო). სიხარულთან ერთად ბასრი ტკივილი ვიგრძენი სულის სიღრმეში.

## ვერცხლის კალათი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ფიბამ 1958 წელს საფრანგეთის სპორტული გაზეთის „ეკიპის" თაოსნობით დააარსა. ამ ძალზე პოპულარულ ჯილდოს თასად მოიხსენიებდნენ, თორემ სინამდვილეში იგი „ვერცხლის კალათი" იყო.

ამასთან, ამ ჯილდოსთვის, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, წესით და რიგით, მხოლოდ ევროპის ქვეყნების ჩემპიონებს უნდა ებრძოლათ და არა სხვა კონტინენტის წარმომადგენლებსაც, მაგრამ შეჯიბრებაში არა მხოლოდ ბებერი კონტინენტის სახელმწიფოების გუნდები, არამედ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონებიც გამოდიოდნენ. თავის მხრივ, მოგეხსენებათ ეს აუზი მოიცავს ევროპის, აფრიკისა და მცირე აზიის ქვეყნებსაც.

ამას გარდა, შეჯიბრების სახელწოდება სხვა მხრივაც პირობითი იყო. კერძოდ, მასში მონაწილეობისთვის ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვება ყოველთვის აუცილებელი სულაც არ იყო. მაგალითად, ამა თუ იმ ქვეყნის ჩემპიონი რაიმე მიზეზის გამო თუ ვერ შეძლებდა „ვერცხლის კალათის" მოსაპოვებლად ბრძოლაში ჩაბმას ან ამ უფლებაზე უარს იტყოდა, მაშინ მისი ადგილის დაკავება შეეძლო ეროვნულ პირველობაში მეორე ადგილზე გასულ გუნდს. ამასთან, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ გუნდს საკუთარი ქვეყნის პირველობაში დაკავებული ადგილის მიუხედავად ამ ჯილდოს მომდევნო გათამაშებაშიც ავტომატურად იწვევდნენ. იმავდროულად, თუ ევროპის თასის მფლობელი ეროვნულ ჩემპიონატში ვერ გაიმარჯვებდა, „ვერცხლის კალათისთვის" მებრძოლთ ქვეყნის ჩემპიონიც ემატებოდა.

ევროპის თასის პირველ სამ გათამაშებაში (1958-59-60) ზედიზედ გაიმარჯვეს რიგის არმიელებმა, რომლებმაც პირველ ორ ფინალში სოფიის „აკადემიკს" სძლიეს, მესამეში კი თბილისის „დინამოს". მეოთხე გათამაშებაში მოსკოვის ცსკა-მ ფინალში რიგის ასკ დაამარცხა, მეხუთე გათამაშების ერთმატჩიან ფინალში კი თბილისის დინამოელებმა მადრიდის „რეალს" ჟენევაში 90:83 მოუგეს.

# ბასკოს შესანიშნავი შვიდეული

## ზაზა ფაჩულია ბათუმში ვარჯიშობს



ცოტა ხნის წინ ბათუმელების სტუ-ელი მეტოქე კახა შენგელია ახალ სეზონს ბასკოში დაიწყებს

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

**საქართველოს** ბოლო სამი წლის უცვლელ ჩემპიონ ბათუმის „ბასკოში" დიდი ფაციფუცია. ცვლილებები არასდროს აკლდა აჭარულ კლუბს, მაგრამ ახლა გაცილებით საფუძვლიანია. ერთი კვირის წინ გაუწყეთ, რომ ზღვისპირელებს აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელის, პაველ გოოგეს თანაშემწე ნუგზარ კანდელაკი დამოძღვრავდა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. კანდელაკის აქამომდელი ადგილი თბილისის „მაკაბის" მეორე მწვრთნელყოფილმა დავით რიბაშვილმა დაიკავა და ორი დღის წინ ამ ორის ხელმძღვანელობით „ახალი „ბასკო" შეიკრიბა.

წასულებით დავიწყოთ: გადაწყვეტილი ამბავია, რომ ახალი სეზონიდან „ბასკოში" ველარ ვიხილავთ ჯეფ როჯერსს, ნიკ დილონს, ანტონ არხიპოვს, დავით თორთლაძესა და ვლადიმერ ბექანიშვილს. როგორც ნუგზარ კანდელაკმა გვითხრა, ბოლო ორი „დინამოსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს და, ალბათ, საქმეს ბოლომდეც მიიყვანენ. სხვები კი თავ-თავიანთ ქვეყნებს დაუბრუნდნენ — როჯერს-დილონი ამერიკას, არხიპოვი კი რუსეთს. დანარჩენთაგან ბათუმის დატოვების ყველაზე რეალური შანსი მანუჩარ მარკოიშვილს აქვს, რომელიც „ბასკოს" თუ გაეყრება, ტრევიზოს „ბენეტონში" ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ მარკოიშვილი ორიოდ კვირის წინ დაბრუნდა ტრევიზოდან, სადაც ბათუმური კლუბის ხელმძღვანელობის მიერ გასასინჯად იყო მივლინებული. როგორც გაირკვა, იტალიელებს მანუჩარი მოსწონებიათ და ახლა იმაზეა მოლაპარაკება, რომელ გუნდში ჩარიცხონ ქართველი — ძირითადში, რომელშიც წინა სეზონში ნიკა ცქიტიშვილი თამაშობდა, თუ სათადარიგოში. კანდელაკის თქმით, ჯერ არაა ცნობილი, იტალიელები საბოლოოდ რას და როგორ გადაწყვეტენ, თუმცა როგორც საუბრებიდან ჩანს, „მანო", ალბათ, ტრევიზოში გადაბარგდება. ყველაფერი კი უახლოეს დღეებში გაირკვევა, როცა „ბენეტონში" ოფიციალურად იტყვიან, მარკოიშვილი მიგვყავსო.

გასარკვევია ასევე 16 წლის უკანახაზელის, ირაკლი საყვარელიძის ამბავიც, რომელსაც „ბასკოს" მეორე გუნდის წევრ, 15 წლის ვიქტორ სანიკიძესთან ერთად ამერიკაში, ერთ-ერთი „ჰაი სქულის" საკალათბურთო გუნდში გადაუწყვეტია წასვლა. როგორც „ბასკოში" გვითხრეს, ბეჭედდასმული არც ეს ამბავია, კლუბი საყვარელიძეს იტალიაში, ერთ-ერთ ახალგაზრდულ გუნდში უპირებდა გაგზავნას, მაგრამ კალათბურთელს ამერიკისკენ უჭირავს თვალი.

ახალი ხალხი კი მრავლადაა. „ბასკოს" ჯერჯერობით 7 ახალწვეული ჰყავს, რომლებმაც სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარეს და თუ ყველაფერი წესრიგშია, კონტრაქტსაც გაუფორმებს.

ბათუმის კლუბის სატრანსფერო პოლიტიკამ, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად „სტუ-ჯეოსელი" აზარალა. „ბასკოს" „შესანიშნავ შვიდეულში" სამი ტექნიკოსია და სამივე მეფარე ცენტრები — კახა შენგელია და ვახტანგ მინაშვილი. ასევე ფარქვეშ ჯაჯგურის არანაკლებ შემძლე ზვიად ბაბიაშვილი. „დაზარალებულთა" მწკრივში „მაკაბის" ჯერი მოდის — ირაკლი კეიდია და დავით ბერიშვილიც ბათუმში არიან. აქ ერთი ამბავია აღსანიშნი: რაც ბურთს მოჰკიდეს ხელი, ტყუპებს — ირაკლი და დავით ბერიშვილებს ცალ-ცალკე არასდროს უთამაშიათ. როგორც ჩანს, მომავალ სეზონიდან დათო ბასკოელი იქნება, ირაკლი კი კვლავ მაკაბელი.

ნუგზარ კანდელაკის კიდევ ორი რჩეული ახალწვეული თსუ-ელი ლუკა შანიძე და აზოტის კამერუნელი უკანახაზელი ტიბო იამჩუ არიან. შვიდ ახალთან ერთად „ბასკოში" ის ახალგაზრდებიც ვარჯიშობენ, რომლებიც შარშან ძირითადში ვერ ხვდებოდნენ — კეშელავა, ნინუა, მაისურაძე. შეკრებაზე არიან ნიკა ჩხატარაშვილი და კამერუნელი როდუმტა პლასიდეც. „ბასკოს" კიდევ ერთ კამერუნელს ჟოლივეტ ტუჯანს ამ დღეებში ელოდებიან. „ჯოლი" უკვე კარგა ხანია საქართველოშია და მშობლების მოსანახულებლად იაუნდეში წასულა.

კიდევ ერთი „ახალწვეული" ვარჯიშობს „ბასკოში". როცა ნუგზარ კანდელაკს ბათუმში სიახლეთა გასაგებად დავუკავშირდით, ტელეფონთან საქართველოს ნაკრების და სტამბოლის „ულქერის" ცენტრი ზაზა ფაჩულია შეგვრჩა. ზაზა ბათუმშია დასასვენებლად და ფორმის შესანარჩუნებლად „ბასკოსთან" ვარჯიშობს. მის და კანდელაკის ლაპარაკს არც იუმორი აკლდა, ვნახოთ, თუ შევთანხმდებით, ეგებ კონტრაქტიც გავაფორმოთო.

**ირაკლი ბერტაია**



ყმაწვილ ბასკოელ ირაკლი საყვარელიძეს თვალი ამერიკისკენ უჭირავს

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# ჯერ ბალახი, მერე თიხა ძნელია



დავიდ ნალბანდიანი ქანცგამწყვეტი უიმბლდონის მერე ჭერაც ვერ მოღონიერებულა

**შვეიცარიის ღია პირველობა**
გშტაადი. თიხნარი
საპრიზო 600 ათასი $

**პირველი წრე**

**ანდრეი პაველი** (4, რუმინეთი) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 7:5, 6:3

**მეორე წრე**

**რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) — როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) 3:6, 6:3, 6:3; **გალო ბლანკო** (ესპანეთი) — ჟოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:5, 7:6 (7:1); **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:4; **ატილა სავოლტი** (უნგრეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:3, 3:6, 7:5

როჯერ ფედერერს წლევანდლამდე ოთხჯერ ეცადა და მშობლიური ტურნირის პირველ წრეს ერთხელაც ვერ გაცილებულიყო. წლეულს ნავსი გატყდა და, რაკი თავიანთი უპირველესი მჩოგნე მერვედფინალში დაიგულეს, ადგილობრივ ქომაგებს გშტაადური ჯილდოს შინ დატოვების იმედი მიეცათ.

ამ იმედმა ზუსტად 24 საათი იცოცხლა.

მისი მკვლელობა მსოფლიოს 110-ე ჩოგნემ, ჩეხმა რადეკ სტეპანეკმა იკისრა.

„დიახ, — მსჯელობდა ნამატჩევს ფედერერი, თავად კაცთა შორის მე-11 ჩოგნის მქნეველი და წლეულს ჰამბურგული მასტერსტურნირის მაოხარი — ჩემნაირები ასეულის მილმებთან თითქოს არ უნდა აგებდნენ, მაგრამ ეს ამბავი კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, თუ როგორ თვალსა და ხელს შუა შემოგვათანაბრდა კაცთა ჩოგბურთი".

ადრეიანვარში გამოქვეყნებულ რეიტინგსიაში სტეპანეკს მხოლოდ უბოგანესი 542-ე ადგილი ეპყრა და ფედერერისნაირ ზეპურთა ძლევა უთამამეს ზმანებებში თუ ეოცნებებოდა.

მაგრამ სწორედ იანვრიდან მოყოლებული, ამ 23 წლის ჩეხმა კარიერის უჩაუქესი სეზონი გაიხერხა, აქა-იქ სამი რიგიანი ტურნირის — დოჰას, ემტორილისა და მიუნხენის მეოთხედფინალსაც უწია და ზეასეულში შეჭრის ჩინებული შანსიც მოიმკა. ნაფედერერევს მას თავისი მეოთხე საამსეზონო მეოთხედფინალი ელის.

ძალიან მიხარიაო — იძახდა იმ დღეს — ეს ჩემი უდიდესი გამარჯვებაა და თავს სიზმარში ვგრძნობო...

მისგან განსხვავებით, სიზმრიდან რეალობაში მოუხდა დაბრუნება წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტ დავიდ ნალბანდიანს, რომელიც — როგორც ყოველი არგენტინელი — ჯიშად მეთიხნარე კი გახლავთ, მაგრამ უიმბლდონური ბალახის მერე თიხნარობის არც მუღამი ჰქონდა და არც ილაჯი.

ამიტომაც იყო, რუმინელ ანდრეი პაველთან საპირველწრეო შერკინება სეტისმოუგებლად რომ დათმო.

არა, საფრის შეცვლა არაფერ შუაშია, უბრალოდ ალპებში ამოსვლამ იმოქმედაო, ამბობდა მერე.

**შვედეთის ღია პირველობა**
ბასტადი. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

**მეორე წრე**

**გილერმო კანასი** (1, არგენტინა) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:0, 6:0; **იუნეს ელ აინაუი** (2, მაროკო) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3, 6:3; **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — მარიანო საბალეტა (7, არგენტინა) 6:3, 6:4; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ნიკოლა კუტილო (საფრანგეთი) 6:2, 7:5

არგენტინელმა გილერმო კანასმა ATP-ის წლევანდელი სეზონის პირველი „ორმაგი 6:0" გაახერხა. მის მიერ ძლეული ალბერტ მონტანესის ასეთ იავარქმნას თითქოს არავინ მოელოდა — მონტანესმა წლეულს სამ მეოთხედფინალში ითამაშა და როლან გაროსის მესამე წრემდე იჩოგნავა, ხოლო რომაული მასტერსტურნირის მეორე წრეში სულაც გუსტავო კუერტენს აჯობა.

მაგრამ მოსახდენი მოხდა და ამოიჩხრიკა, რომ „ორმაგი 6:0" წინა ორი სეზონის განმავლობაში მხოლოდ თითო-თითოჯერ დაფიქსირებულა. შარშან 6:0, 6:0-ით ესპანელმა ფრანსისკო კლავეტმა ჰოლანდიელ სხენგ შალკენს მოუგო.

„დღეს ძალიან, ძალიან კარგად ვითამაშე — ფახიფუხობდა ნამატჩევს კანასი — შესაძლოა, ეს ჩემი საუკეთესო სათიხნარე მატჩი იყო ამ სეზონში. დარიც დარობდა და საერთოდაც — ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

იმ დღეს დამაჯერებლად გაიმარჯვა კანასისმომდევნოდ განთესილმა იუნეს ელ აინაუიმ, ჩვენიანი ირაკლის ლაბაძის მიერ უიმბლდონის პირველ წრეში დაჩოგნილმა მაღრიბელმა. ელ აინაუის წლეულს სამი ტიტული მოუგია, 7-გზის გასულა მეოთხედფინალში და 46 შეხვედრიდან კორტი გამარჯვებულმა 33-ჯერ დატოვა.

სხვაფრივ:

აგუსტინ კალერის როლან გაროსის შემდეგ ერთი მატჩიც არ მოეგო. ნიკოლა კუტელოსთან გამარჯვებამ სეზონის მესამე მეოთხედფინალისკენ წასწია. ბარემ აქვე ვთქვათ — კარიერის პირველი ტიტული მან თებერვალში, მშობლიურ ბუენოს აირესში მოინაგრა.

რაც შეეხება ალბერტ პორტასს, წლეულს ნათამაშებ 22 შეხვედრაში მას მხოლოდ 6 გამარჯვება მოეძევება, წინა ცხრა ტურნირიდან რვაში პირველსავე წრიდან დაითხოვეს და ახლა წლის პირველ მეოთხედფინალში მოუწევს თამაში.

ეგებ ვინმეს აღარ ახსოვდეს და, პორტასი ის კაცია, ვინაც შარშანდელი ჰამბურგული მასტერსტურნირი მეკვალიფიკაციემ დააწიოკა.

**HALL OF FAME**
ნიუპორტი, როდ აილენდი
თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

**მეორე წრე**

**ჯეიმს ბლეიკი** (1, აშშ) — ოტა ფუკარეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 4:6, 6:4; **მორდი ფიში** (აშშ) — ჟულიან ნოული (ავსტრია) 7:6 (7:5), 6:4; **ტეილორ დენტი** (აშშ) — ჯეფ მორისონი (4, აშშ) 6:3, 6:4; **მიშელ ლოდრა** (7, საფრანგეთი) — ბრაიან ვაჰალი (აშშ) 6:4, 6:3; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — ჯონათან ერლიხი (ისრაელი) 6:4, 6:0; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 7:6, 1:6, 6:2

წლეულს უკვე მესამე ტურნირზე ხდება, უკანასკნელ „რვეულში" ერთბაშად 5 ამერიკელი რომ რჩება. ცხადია, რომ ამის დარად, წინა ორი ტურნირიც ამერიკული (ჰიუსტონი და სან ხოსე) იყო.

**FRENCH COMMUNITY CHAMPIONSHIPS**
ბრიუსელი. თიხნარი
საპრიზო 140 ათასი $

**პირველი წრე**

**ვირხინია რუანო პასკუალი** (6, ესპანეთი) — დაფნე ვან დე ზანდე (ბელგია) 5:7, 7:5, 6:3; **მარტინა მიულერი** (7, გერმანია) — ელკე კლაისტერსი (ბელგია) 6:4, 6:2

**მეორე წრე**

**მაგი სერნა** (5, ესპანეთი) — კრისტი ბოოგერტი (ჰოლანდია) 6:3, 6:3; **მირიამ კაზანოვა** (შვეიცარია) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:4, 6:4

ეს დღე განთესილთა ხეირისა იყო — მათგან ვინც ითამაშა, ყველამ მოიგო. ელკე კლაისტერსი კი 17 წლისაა და კიმ კლაისტერსის უმცროსი დაიკო გახლავთ.

ეგ არის და ეგ!

**პალერმოს საერთაშორისო ტურნირი**
თიხნარი. საპრიზო 110 ათასი $

**პირველი წრე**

**პაოლა სუარესი** (1, არგენტინა) — მაია პალავერზიჩი (ხორვატია) 6:2, 6:2

**მეორე წრე**

**ლიუბომირა ბაჩევა** (ბულგარეთი) — ასა სვენსონი (3, შვედეთი) 6:3, 6:3; **ვერა ზვონარევა** (5, რუსეთი) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 7:6 (7:2), 6:0



## ტურ დე ფრანსი 2002

# მთები ყველაფერს ჩამოწერს

**შამპანის** მთავარ ქალაქ ეპერნიდან შატო-ტიერამდე 67 კილომეტრია, ზუსტად იმდენი, რამდენიც ვერდან — ბარ ლე დუს შორის. ეს ბოლო ტოპონიმები შარშანდელი ტურის ინდივიდუალურ-გუნდური რბოლის თავსა და ბოლოს აღნიშნავს. მაშინ „კრედიტ აგრიკოლას" გამარჯვებას, ცოტა არ იყოს, უცნაური გადაადგილებები მოჰყვა საერთო ჩათვლაში. ორიოდე მაგალითი. ამ გუნდის წევრი ბესი, რომელიც წლეულსაც ასპარეზობს ტურში და ვერც შარშან და ჯერჯერობით ვერც ახლა ვერაფრით დაგვახსომა თავი, ზემოხსენებული გუნდური რბოლის შემდეგ ერთბაშად 33(!) საფეხურით ახტა მაღლა. აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ველომრბოლი, საოცარი ტაქტიკური ალღოს მქონე და ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი ლორან ჟალაბერი, რომელიც შარშანდელი გუნდური ეტაპის შემდეგ 19 ადგილით ჩამოქვეითდა მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა გუნდმა 3 წუთი წააგო გამარჯვებულთან. რაღაც ვერ არის ლოგიკა იმაში, რომ ერთი პირად ანგარიშზე იწერს სხვათა ოფლითა და ნიჭით მონაგარს, მეორე კი სხვების უღონობის გამო იუარესებს ასევე პირად მაჩვენებელს. უფრო სწორია, გუნდის შედეგი გუნდურ მაჩვენებელზევე ასახულიყო. მით უმეტეს, რომ ამგვარი ნომინაცია კარგა ხანია არის თითქმის ყველა მრავალდღიანში — ჯიროზეც, ვუელტაზეც და ტურ დე ფრანსზეც. ამ პრობლემაზე სპეციალისტების დავას ბოლო არ უჩანს. ამ სახეობას ხან ამოიღებენ ტურის პროგრამიდან, ხან ისევ მოაბრუნებენ ხოლმე. გამოსავალი ალბათ ის იქნებოდა, რომ გუნდურ რბოლაში ნაჩვენები შედეგი 50 ან სულაც 25-პროცენტიანი კოეფიციენტით წაემატებინათ პირადი შედეგებისთვის. ბოლოს და ბოლოს ტურ დე ფრანსი ხომ ინდივიდუალური შეჯიბრებაა.

ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი საყვედური ორგანიზატორებს, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ გულის მოსაფხანად თუ გამოდგება. ახლა კი უშუალოდ ეტაპის თაობაზე.

მეოთხე ეტაპი, უკვე ვთქვით, ეპერნიში იღებდა სტარტს. პირველი დისტანციაზე შარშანდელი გამარჯვებული „კრედიტ აგრიკოლა" გავიდა. საერთოდ, ინდივიდუალური რბოლები არცთუ ურიგო საყურებელია, მაგრამ მათი ალწერა-მოყოლა არცთუ საინტერესო. თვალსაჩინოებისთვის ამა თუ იმ მონაკვეთზე ნაჩვენები წუთებისა და წამების მოხმობა თუა შესაძლებელი. ერთადერთი, რამაც მაყურებლის ანდა მკითხველის ემოციები შეიძლება გამოიწვიოს, მხოლოდ ის არის, თუ როგორ ჰკარგავს გუნდი დისტანციაზე ჯერ ერთ, მერე მეორე, მესამე წევრსაც. იდეალური ვარიანტია, როცა გუნდი სრული შემადგენლობით ამთავრებს შეჯიბრებას. იდეალური იმიტომ, რომ საბოლოო შედეგში ცხრავე სპორტსმენის ძალისხმევაა ასახული. ამ თვალსაზრისით ბევრი დაკარგეს „ალესიომ", „ტაკონიმ", „ბონჟურმა", „რაბობანკმა" და განსაკუთრებით კი „ლამპრემ", რომელმაც გზადაგზა 4 კაცი დაკარგა. ცალკე უნდა ითქვას ესპანური „კელმეს" ორკაციან დანაკლისზე და საკმაოდ უხეირო შედეგზე, რადგან სწორად ამ გუნდშია ველომრბოლი, რომელიც წლეულს თუ არა, მომავალ ტურზე მაინც აუცილებლად იქნება გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი. ლაპარაკია ოსკარ სევილაზე, ახალგაზრდა სპორტსმენზე, რომელიც შარშან ტურზე ათეულში მოხვდა, მერე კი, სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, ვუელტაზე ბოლო ინდივიდუალურ ეტაპზეღა დაკარგა ჩემპიონობა. ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგი ვერც ტურ დე ფრანსამდე „ჯიროში" და ვერც შემდეგ ვუელტაზე ვერ ბედავს ზედიზედ ორ მრავალდღიანში გამოსვლას, მოუმწიფებელი სპორტსმენისთვის ზემოაღნიშნული შედეგები, არ მომერიდება იმის თქმა, რომ ფანტასტიკურია.

ასევე გამოცალკევებით არის აღსანიშნავი გუნდი „ტისკალი" და მისი ლიდერი ლორან ჟალაბერი. 21-კილომეტრიან მონაკვეთზე ამ გუნდს საუკეთესო შედეგი ჰქონდა. „ტისკალი" პირველი იყო ქალაქ ლებრუვლის საშუალედო ფინიშზეც და მხოლოდ ბოლო 20 კილომეტრზე განიავდა მისხალმისხალ ნაგროვები უპირატესობა. ამაზე ცხადია, მეორე მონაკვეთის ბოლოს გუნდს ჩამორჩენილი ორი სპორტსმენის არყოფნამ იმოქმედა. თუმცა, საბოლოო მესამე ადგილიც არ არის ურიგო.

მკითხველს, ბუნებრივია, ყველაზე უფრო არმსტრონგის გუნდი აინტერესებს. „პოსტალმა", ისევე როგორც შარშან, ვერ მოახერხა ეტაპის მოგება. თუმცა 16 წამის სხვაობა გამარჯვებულ „ონსესთან" არც ისე დიდი დანაკლისია. სხვათა შორის, სწორედ „ონსეს" რიგებშია ამერიკელის ყველაზე რეალური მეტოქე ესპანელი ხოსება ბელოკი.

ავად თუ კარგად ეს ინდივიდუალურ-გუნდური ეტაპი დასრულდა და სპორტსმენთა სიამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტი რომ არ ვთქვა, კურიოზული სახე მიიღო: პირველ ათეულში მხოლოდ ორი გუნდის წარმომადგენლები არიან. ეს, რა თქმა უნდა, ზუსტად არ ასახავს სპორტსმენთა რეალურ შესაძლებლობებს, მაგრამ არა უშავს რა. დაიწყება მთები და ყველა და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

**ირაკლი ბერიაშვილი**



REUTERS

გამარჯვებული ონსელები: იგორ გონსალეს გალდეანო და ხოსება ბელოკი

### ტექნიკური შედეგები

**IV ეტაპი. ეპერნე — შატო-ტიერი. 67,5 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ონსე | 1 სთ 19 წთ 49 წმ |
| 2. US პოსტალი | + 16 წმ |
| 3. CSC-ტისკალი | + 46 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. იგორ გონსალეს გალდეანო („ონსე", ესპანეთი) | 14 სთ 51 წთ 01 წმ |
| 2. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | + 4 წმ |
| 3. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | + 7 |
| 4. იორგ იაკშე („ონსე", გერმანია) | + 12 |
| 5. აბრაჰამ ოლანო („ონსე", ესპანეთი) | + 22 |
| 6. რობერტო ერასი (US პოსტალი, ესპანეთი) | + 25 |

**საუკეთესო სპრინტერი**

| | |
|---|---|
| 1. ერიკ ზაბელი („ტელეკომი", გერმანია) | 96 ქულა |
| 2. რობი მაკიუენი („ლოტო", ავსტრალია) | 91 |
| 3. ოსკარ ფრეირე („მაპეი", ესპანეთი) | 71 |

**მთის მეფე**

| | |
|---|---|
| 1. კრისტოფ მენგინი (FDJ, საფრანგეთი) | 29 ქულა |
| 2. სტეფან ბერგერი (AG2R, საფრანგეთი) | 26 |
| 3. ლუდო დიერკსენი („ლამპრე", ბელგია) | 15 |

**გუნდური**

| | |
|---|---|
| 1. „ონსე" | 44 სთ 35 წთ 46 წმ |
| 2. US პოსტალი | + 42 წმ |
| 3. CSC-ტისკალი | + 2 წთ 09 წმ |



REUTERS ჰოლივუდიდან





REUTERS ჰოლივუდიდან

# მეათე და სიცილით სავსე

ჰოლივუდის კოდაკის თეატრში დიდი დაჯილდოება გაიმართა. უკვე მეათედ მოხდა, რომ რაგინდარა სპორტის უვარსკვლავეს ხალხს უკვე განთქმულ „იესპის“ საგანგებო ჯილდოებს გადასცემენ, მთელი შოუ კი "იესპიენის" სპორტული არხით გადაიცემა. იმ საღამოს მთელი მსოფლიოს ნაღებ სპორტსმენობას იქ მოეყარა თავი და პოპვარსკვლავთა წრეში ერთობოდა. ქალთა კალათბურთის ვარსკვლავი სიუ ბერდი „ბექსთრით ბოიზის“ მომღერალ ნიკ კარტერთან ერთად იკრიჭებოდა. „აილენდერსის“ რუსი ჰოკეისტი ალექსეი იაშინი სუპერმოდელ კეროლ ალტის კაბის არშიას დასცქეროდა, ჯენიფერ კაპრიატის შავი საღამური კაბა მოერგო, ორიოდ დღის წინ უიმბლდონის მომგები სერენა უილიამსი კი დიახაც რომ ალალად კისკისებდა. და, რა თქმა უნდა, აქ იყვნენ ძველებიც, სულ დიადნი: უეინ გრეცკი მეუღლე ჯანეტითურთ და მართლაც რომ ცოცხალი ისტორია — ჯო ფრეზერი და მუჰამედ ალი.



REUTERS ჰოლივუდიდან







REUTERS ჰოლივუდიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge